წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 4 სექტემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 33

## ჟურნალის შინაარსი

დემოკრატიის კრიზისი—**ყარიბი**; ევროპის სოციალიზმი და მომავალი ომის საფრთხე—**ლ. შენგელაია**; საერთაშორისო კოოპერაციის კონგრესი—**შ. დ.**; კოტე მაყაშვილის ხსოვნას—**დ. სულიაშვილი**; ფაქტების უარყოფა შეუძლებელია—**ს. ელიაძე**; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე—**უ. ჯაში**; ათი წელი—**ა. შ—ძე**; სანავთო ომი—**ი. ნარსია**; დაშვებულ გაუგებრობის გამო—**ა. ვადაჭკორია**; მუშათა თეატრი—**სოსო რომანიშვილი**; ძირს ომი და მისი ავტორები—**ა. რე—ნ. დოლიძე**; სვანეთში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებანი—**ლ. კუპრაშვილი**; **ყოფილ** ს. დ. მენშევიკების ხმა. გორის ინტელიგენციის დეკლარაცია; მოფქრებული ნაბიჯი—**ნო—ვა**; გვაკმარეთ თუ არა—**ვახტანგ ბაკურაძე**.

## დემოკრატიის კრიზისი

3

ნ. ჟორდანიას „დემოკრატიის კრიზისი“ ყველაზე უფრო საყურადღებო „ახალგზელები“-სთვის არის, მასში ჩვენ ვხედავთ ს. ს.-დ. პარტიის წევრების ახალ გზაზე დადგომის გამართლებასაც.

რა თქმა უნდა, ნ. ჟორდანიას ამის სურვილი არა აქვს, ის ისევ ძველებურად აყიფებს ჩვენს წინაალმდეგ თავის ფინიებს „ბრძოლის“ ფურცლებზე, მაგრამ აზროვნებასაც ხომ აქვს თავისი ლოღიკა და ნ. ჟორდანიაც, მისდა უნებურად, უნდა დაემორჩილოს ლოღიკის კანონს.

ესეც არ იყოს, ჟორდანია მოხერხებული ტაკტიკოსია, მან იცის, რომ ის რასაც ისა და მისი ჯამიტლაკიები ჩვენს, ყოფილ ქართველ მენშევიკების წინაალმდეგ როშავენ, ევროპის დემოკრატიასთან არ გამოდგება. ამიტომ არის, რომ ის ჩვენს წინაალმდეგ მიმართავს ხოლმე ლანძღვა - გინებას, მაშინ, როცა ევროპის დემოკრატიის ასეთივე „მოღალატური“ ნაბიჯების ასახსნელად იძულებულია ჭკუას ძალა დაატანოს და მეცნიერული ახსნაგანმარტება მოუნახოს. ნ. ჟორდანია აქაც არ ღალატობს თავის ჩვეულებას; ის აქაც ორმაგ ბუხგალტერიას აწარმოებს: ერთია საქართველოში გამოსადეგი მოწინაალმდეგის ლანძღვა - გინება და დამცირება, მეორე — ევროპის მკითხველებისთვის მისაღები — მოვლენის მეცნიერულად ახსნის ცდა.

ნ. ჟორდანია დასახელებულ წერილში ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს თავის ყოფილ ამხანაგებს, ის მხოლოდ ლაპარაკობს საერთოდ დემოკრატიაზე,—მის როგორც მუშა, ისე ბურჟუაზიულ ნაწილზე, — მის დარღვევაზე და ამ დარღვევის მიზეზებზე. საქართველოს ს.-დემოკრატია, როგორც ნაწილი საერთოდ დემოკრატიისა, ვერ ასცდებოდა იმ კანონის გავლენას, რომელმაც, ჟორდანიას სიტყვით, დაანგრია და დაშალა მსოფლიო დემოკრატია.

მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს ნ. ჟორდანიას დასკვნები საქართველოს ს.-დ. პარტიის ყოფილ წევრებზეც გავავრცელოთ.

ნ. ჟორდანიას ლანძღვა - გინების ბუხგალტერიას ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ. აქ კი გავეცნოთ მის მეორე, ევროპაში სახმარ ბუხგალტერიას.

ნ. ჟორდანია იძულებულია ხმა-მაღლა აღიაროს:

„დემოკრატიული მთავრობა გადაიქცა უძლური, უსაქმო, მოლაყბე მთავრობათ. დემოკრატიზმი გახდა სინონიმათ სიძაბუნისა, გაუბედაობისა, ერთი ადგილის ტკეპნის, სიტყვიერების“.

აი როგორ ყოფილა საქმე რუსეთში და ევროპაში. დემოკრატიის რაინდი ჟორდანია თვითონ გვეუბნება, რომ დემოკრატიული მთავრობა და, მაშასადამე თვითონ დემოკრატია, ყოველგან გაკოტრებულან, არარაობათ გადაქცეულან.

ნ. ჟორდანია არაფერს არ გვეუბნება საქართველოს ყოფილ დემოკრატიულ მთავრობასა და დემოკრატიაზე, მაგრამ გვაქვს თუ თუ არა უფლება, ჟორდანიას ასეთი დიაგნოზი საქართველოს დემოკრატიისა და მისი მთავრობის შესახებაც მივიღოთ?

დიაჰ, ჩვენ ამის უფლება გვაქვს, რადგანაც დემოკრატიისა და მისი მთავრობის დამახასიათებელი თვისებები: უძლურება, უსაქმობა, მოლაყბეობა, გაუბედაობა, ერთი ადგილის ტკეპნა და სიტყვიერება, არსად, არც ერთ დემოკრატიაში არ იყო ისე განვითარებული, როგორც ეს იყო საქართველოს დემოკრატიაში და მის დემოკრატიულ მთავრობაში.

ნ. ჟორდანია - კერენსკის მთავრობის დაღუპვის მიზეზათ სწორეთ ამ თვისებებს ასახელებს. ის ამაში მართალია. მაგრამ რატომ გაურბის საქართველოს დემოკრატიულ მთავრობისა და დემოკრატიის დამარცხების მიზეზის ამავე თვისებებით ახსნას? ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მწარე ფაქტის ასეთი ახსნა - განმარტება, მის ინტერესებს ეწინაალმდეგება. ეს პირდაპირ იმას ემსგავსებოდა ჟორდანიას რომ ეთქვა: დავმარცხდით მაგრამ, რომ უძლური, უსაქმო, მოლაყბე მთავრობა ვიყავით; დავ-

მარცხდით მიტომ, რომ ჩვენი დემოკრატიაც ჩვენისთანა იყო: ძაბუნი, გაუბედავი, ერთი ადგილის მტკეპნავი, სიტყვიერებით დაავადებულიო.

აი რატომ გაურბის ჟორდანია საქართველოს დემოკრატიისა და მის „დემოკრატიულ მთავრობაზე“ ლაპარაკს. აი რატომ ცდილობს იგი იტრიალოს საქართველოს ფარგლებს გარეშე.

ვცადოთ მაინც დავუბრუნოთ ნ. ჟორდანია საქართველოს ფარგლებს და ვაიძულოთ იგი ილაპარაკოს საქართველოს დემოკრატიისა და მის დემოკრატიულ მთავრობაზე.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ რევოლიუციას არ უყვარს სიძაბუნე, გაუბედაობა და ერთი ადგილის ტკეპნა. ჩვენ ჩვენის თვალებით დავინახეთ, რომ ყველა ასეთ პარტიებს რევოლიუცია ერთის დაკვრით ამარცხებს და სპობს. რევოლიუციას უყვარს გამბედავი გმირები, რომლებიც არ შეუშინდებიან მას, ენდობიან მის ძალას და შეძლებენ მის ფეხდაფეხ მიყოლას.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ერთის დაკვრით მოსპო კერენსკის „უძლური, უსაქმო, მოლაყბე“ მთავრობა, მოსპო სიძაბუნისა და გაუგებრობის სინონიმად გადაქცეული, სიტყვიერების ბურუსში გახვეული დემოკრატიზმი და რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ უზარმაზარ ტერიტორიაზე კომუნიზმის წითელი დროშა ააფრიალა.

უძლურების სინონიმათ გადაქცეულმა მენშევიზმმა მხოლოდ პატარა საქართველოში და ისიც დროებით მონახა თავშესაფარი და იქედან დაუწყო ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციას. სანამ კომუნისტებსა და მათ ხელისუფლებას ანტანტის ინტერვენციისა და შინაური ფრონტების გამო ჩვენთვის არ ეცალათ, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, ავად იყო თუ კარგად, არსებობდა. მაგრამ ბოლშევიკებმა ანტანტასა და მის აგენტებზე გაიმარჯვეს; მათ გაარღვიეს ინტერვენციის რკალი. ვერც კი მოესწრო კავკასიონის ქედზე გადმოხედვა წითელ მხედრობას, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მოღალატურად, ვერაგულად მიატოვა ქვეყანა და ევროპაში გაქცევით თავს უშველა...

ეს უდიდესი კატასტროფა იყო საქართველოს დემოკრატიის ცხოვრებაში. საქართველოს პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხკაცობამ თავისი თვალებით დაინახეს, რომ ს.-დ. ის ლიდერები, რომლებსაც ისინი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უჯერებდენ, და ნდობით ეპყრობოდენ, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო გონიერი ხელმძღვანელობა და გამარჯვებულ კომუნისტებთან საერთო ენის გამონახვა, მოღალატეობა ჩაიდინეს და მხოლოდ თავს უშველეს.

ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ“ ესეც არ აკმარეს, ქართველ მშრომელ ხალხს. მათ, ევროპის ბურჟუაზიის გულის მოსაგებათ, აგვისტოს საშინელი ავანტიურა დაატეხეს მას თავზე.

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. აგვისტოს ავანტიურით გამოწვეული მსხვერპლი უკანასკნელი წვეთი გამოდგა არა მარტო ს. ს.-დ. პარტიისთვის, ის ასეთივე გამოდგა საქართველოს მთელი დემოკრატიისთვის. აგვისტოს ავანტიურის შემდეგ დაიშალა და გაქრა, ოდესღაც ძლიერი ს.ს.-დ. მ. პარტია. მისი წევრების დიდი უმეტესობა, ისინი, რომლებიც ამ პარტიის არსებობის პირველ დღიდანვე იბრძოდენ მის რიგებში, დაღლილდაქანცულები, ჩამოშორდენ ბრძოლის ველს, უილაჯოისტორიამ მათ ფეხთ ქვეშ გამოაცალა ძველი მყარი ნიადაგი, დააშორა თავის ჩვეულებრივ სფეროს. ისინი ახალს ვერ შეურიგდენ, ისინი გაიტაცა პარტიის რომანტიკამ და წარსულზე ოცნებას მისცენ თავი. მათ ყველაფერი წარსულში დარჩათ. ისინი მოკვდენ, როგორც პოლიტიკური მებრძოლები და დღეს მხოლოდ პოლიტიკურ ინვალიდებს წარმოადგენენ.

ს.-დ. პარტიის წევრების დიდმა უმეტესობამ, მისმა მუშურმა ნაწილმა, მალე აუღო ალღო ახალი ცხოვრების მიმდინარეობას, მან მალე „შეუბრუნა ნაღველსა ხელი“, და ახალი გზის თვალიერებას შეუდგა.

მას დიდი ძებნა და თავის ტეხა არ დასჭირვებია. მის წინაშე მხოლოდ ორი გზა იყო: ის ან თავის ძველ პარტიასთან ერთად უნდა დაღუპულიყო, ესე იგი გადაქცეულიყო პოლიტიკურ დიეშებად, ჩაფლულიყვენ მეშჩანობის წუმპეში და ჯიბით ორი სხვადასხვა ფერის დროშა ეტარებიათ, ან უნდა შეერთებოდენ კომუნისტების პარტიას და მათთან ერთად გადაშვებულიყვენ ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში და ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სამკვდრო - სასიცოცხლო ომში მონაწილეობა მიეღო.

ს.-დ. პარტიის უფრო მუშური ნაწილისთვის კითხვა ასე იდგა. ის ერთ წერტილზე ვერ შეჩერდებოდა, ერთი ადგილის ტკეპნით ვერ დაკმაყოფილდებოდა, ის ვერ შეაჩერებდა უძლურს, უსაქმო, მოლაყბეებს, სიტყვიერების მონა ხელმძღვანელებს...

ცხოვრებას მოწყურებული ხალხი საფლავებს ვერ მიაჩერდებოდა. მას სურდა ბრძოლა, სურდა წინ სვლა, სურდა მებრძოლთა რიგებში მუშაობა...

სიცოცხლისა და ბრძოლის სურვილმა თავისი გაიტანა: ს. ს.-დ. უფრო მებრძოლმა ნაწილმა ცრემლით გამოეთხოვა თავისი ძველი პარტიის ძვირფასს, მაგრამ ბელადების მიერ შეგნებულსა და პატივ ახდილ საფლავს და ახალი ბრძოლის გზას გაუდგა...

აი რა მოხდა, აი რა პირობებში მოხდა გარდატეხა ს. ს.-დ. პარტიის წევრებში!

ამის შემდეგ მკითხველი დამეთანხმება თუ ვიტყვი, რომ თუ მთელ მსოფლიოში რომელიმე დემოკრატიას ჰქონდა ყოველგვარი უფლება დაეგდო ძველი გზა, დაეგდო ძველი „უძლური, უსაქმო, მოლაყბე“ პარტიის რიგები და მებრძოლ პროლეტარიატს, კომუნისტების პარტიას შეერთებოდა, ამის უფლება კიდევ უფრო უნდა ქონოდა საქართველოს დემოკრატიას, რომელმაც ასეთი საშინელი კრიზისი განიცადა. და ჩვენი ყოფილი პარტიის ისტორიის მკვლევარს ის კი არ უნდა გაუკვირდეს, რომ ს. ს.-დ. პარტიის წევრები გაშორდენ თავის ყოფილ პარტიას და კომუნისტურ პარტიას შეუერთდენ, მას მხოლოდ ის უნდა გაუკვირდეს, რომ იმათ ერთობ გვიან გადასდგეს ასეთი ნაბიჯი, ერთობ გვიან მოახდინეს თავისი პარტიის ლიკვიდაცია... ეტყობა ერთობ ძნელი ყოფილა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ისეთი დიდი და ძველი პარტიის წევრებისათვის, როგორიც იყო ს. ს.-დ. მუშათა პარტია. საერთოდ ძნელი ყოფილა ძველის მიტოვება და ახალის შეთვისება. ამ პოლიტიკური კონსერვატიზმის ერთხელ და სამუდამოთ დასაძლევად ჩვენში საჭირო შეიქნა აგვისტოს საშინელი ავანტიურა, რომელიც ს. ს.-დ. პარტიის ყოფილმა ლიდერებმა თავს დაატეხეს თავის საკუთარ პარტიასა და საერთოდ ქართველ ხალხს.

არსად, არც ერთი ქვეყნის დემოკრატიას ამის მსგავსი არაფერი განუცდია. ევროპის ყველა სახელმწიფოებში უფრო მშვიდობიანად, უფრო ბუნებრივად მოხდა დემოკრატიის დაშლა და მისი ორ სხვადასხვა სამტროდ განწყობილ ბანაკად დაყოფა.

ნ. ჟორდანიას ეს მოვლენა იქ, ევროპაში თუმც ძლიერ სამწუხაროდ, მაგრამ მაინც ბუნებრივად მიაჩნია. ის იქ ერთხელაც არ ხმარობს სიტყვებს: მოსყიდულები, ქვეყნის გამყიდველები, მოღალატეები და სხვა. ის ასეთი ეპიტეტებით არ ამკობს დემოკრატიის არც იმ ნაწილს, რომელმაც „კომუნისტების წინაშე დაიჩოქა“. არც იმას, რომელმაც ფაშისტების წინაშე მოიყარა მუხლი...

და იმავე დროს ნ. ჟორდანია შეუბრალებელია თავისი ყოფილ ამხანაგებისადმი. რატომ? იმიტომ, რომ იმათ, თურმე, პარტიას უღალატეს. ქვეყანა გაყიდეს. ქვეყნისა და თავისი საკუთარი პარტიის მტერს მიემხრენ!

მერე სად არის აქ ლოღიკა? თუ კომუნიზმის ტალღა ისეთი ძლიერია, რომ თვით უძლიერესმა ევროპის დემოკ-

რატიამ მას ვერ გაუძლო და „კომუნისტების სახარების წინ დაიჩოქა“, თუ გერმანიის და ავსტრიის უძლიერესა სოციალ-დემოკრატიამ ტყვიისმფრქვეველებითა და ზარბაზნებითაც ვერაფერი დააკლო მას და ბოლოს იძულებული შეიქნა ამ ტალღებს გაყოლოდა და „მოსკოვის სახარებაზე იმედები დაემყარებია“, — გვიბრძანეთ, როგორ უნდა გაეძლო ასეთი უძლეველი ძალისათვის პატარა საქართველოს პატარა დემოკრატიას, ან კიდევ უფრო პატარა სოციალ-დემოკრატიის პარტიას, რომელმაც თავისი წარსული მოქმედების სიყალბე თავის საკუთარის თვალებით დაინახა?

რატომ უნდა ავხსნათ მოსყიდვითა და გასყიდვით, ან ქვეყნის მოღალატეობათ ს. ს.-დ. პარტიის ყოფილი წევრების ასეთი ნაბიჯი და იმავე დროს სრულიად ბუნებრივად და პრინციპიალურად მისაღებად უნდა აღვიაროთ ევროპის სხვა ქვეყნების დემოკრატიის ასეთივე ნაბიჯები?

თვით ჟორდანიას გამოკვლევით, დემოკრატიის კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ ის დანაწილდა ბოლშევიკებსა და ფაშისტებს შორის; რომ მუშური დემოკრატია მივიდა კომუნისტებთან, ბურჟუაზიული დემოკრატია გაფაშისტდა. ეს უდაოა.

მაშასადამე უდაოა ისიც რომ ს.ს.-დ. პარტიის წევრები, რომლების დიდი უმეტესობა მუშურ დემოკრატიას წარმოადგენდა, მივიდენ კომუნისტებთან. ეს მოხდა ბუნებრივად... და ეს ს. ს.-დ. პარტიის ყოფილ წევრებს უდიდეს დანაშაულად ეთვლება.

რატომ? უნდა ვიფიქროთ, იმიტომ, რომ ჟორდანია კომუნისტების მტერია. საქართველოს დემოკრატიას რომ ფაშისტების წინაშე დაეჩოქა, ჟორდანიას მასთან სადაო და სასაყვედურო არაფერი ექნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ეს ჩვენ წინა წერილში დავინახეთ, ჟორდანია ფაშიზმს არ ებრძვის. ის დემოკრატიას მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ რაზმავს. ტყუილად კი არ გვეუბნება იგი:

„სანამ სოციალისტური დემოკრატია ბოლშევიზმს თავის აშკარა მტრათ არ გამოაცხადებს და ყოველივე ყოყმანს ამ სფეროში არ უარყოფს. მანამდე ფაშიზმი არ დაითრგუნება და საზოგადოება ვერ გადარჩება მისი ბრჭყალებისაგან“.

აი რა ასულდგმულებს ნ. ჟორდანიას. აი რისთვის ნდომებია მას ს. ს.-დ. პარტიისა და საერთოდ მთელი დემოკრატიის ძალების გამოყენება!

ნ. ჟორდანია ხედავს, რომ ევროპაში მისი საქმე წაგებულია, რომ იქ მუშათა დემოკრატია „მოსკოვზე ამყარებს თავის იმედებს“. ის ამას ძალა-უნებურად უნდა შეურიგდეს.

მაგრამ ის ვერ ურიგდება, როცა იგივე მოვლენა მეორდება საქართველოში, როცა აქაც მუშათა დემოკრატია უერთდება კომუნისტურ პარტიას და ოქტომბრის რევოლიუციაზე და იმავე „მოსკოვზე ამყარებს თავის იმედებს“. ის ლანძღვა-გინებით არ იხსენიებს ევროპის მუშათა დემოკრატიას; ის ასეთ „დანაშაულს“ აპატიებს გერმანიისა და ავსტრიის ძლიერ სოციალ-დემოკრატიას.

მაგრამ იგი ულმობელია ს. ს.-დ. პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებმაც იგივე „დანაშაული“ ჩაიდინეს.

— ქვეყნის გამყიდველები არიან ქართველი მუშები: გვიმრაძეები, მაჭარაძეები, ხურცილავები, ფარნიევები!

რატომ? იმიტომ, რომ მათ კომუნიზმის ტალღები ვერ დასძლიეს და კომუნისტებს მიემხრენ.

რატომ უდგება ნ. ჟორდანია ამ ერთ საკითხს ორ სხვადასხვანაირად? რატომ ერთი და იგივე მოქმედებისთვის იმას ორი სხვადასხვანაირი განაჩენი გამოაქვს?

ახსნა ერთად-ერთი შეიძლება: იმიტომ, რომ საქართველოს ს.-დ. პარტიის ასეთი ნაბიჯი სამუდამოთ ასამარებს საქართველოს ტერიტორიაზე მენშევიზმს და იმავე დროს პირწმინდათ სპობს იმ სამარცხვინო ბუტაფორიას, იმ შავი ორშაბათის ყეენობას, რომელსაც ჟორდანიას „მთავრობა“ ჰქვია და რომელიც ქართველი დემოკრატიის სახელით ხელ-გაწვდილი მათხოვრობს ევროპის ბურჟუაზიული მთავრობების კარებზე.

აი მიზეზი ნ. ჟორდანიასა და მისი ჯამიტლაკიების გაკაპასებისა! აი შინაარსი ნ. ჟორდანიას ორმაგი ბუხგალტერიისა!

ყარიბი.

# ევროპის სოციალიზმი და მომავალი ომის საფრთხე

Что же ты молчишь, дитя маловерное?
Где-же твой идел стоит?!
**Некрасов.**

მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელიც 1914 წელს ატყდა, მეორე ინტერნაციონალისათვის არც ისე მოულოდნელი იყო. მართალია იყვნენ სოციალისტები. რომლებიც ამტკიცებდენ ტეხნიკის უკიდურესი განვითარება ომს შეუძლებლად ხდისო, მაგრამ მეორე ინტერნაციონალის დიდ უმრავლესობას ესმოდა, რომ მსოფლიო ომი ახლოვდებოდა. ამის თავდები იყო კოლონიალური ციებ-ცხელება, რომელმაც შეიპყრო თითქმის ყველა სახელმწიფოები და ის გაშმაგებული ჯიბრი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შეიარაღების საქმეში. მეორე ინტერნაციონალის კონგრესებზე არა ერთხელ იდგა საკითხი მსოფლიო ომის საფრთხის შესახებ. აქ გამოტანილი რეზოლიუციები თუმცა ორჭოფული იყო, მაგრამ შეიცავდა ერთს გარკვეულ აზრს, რომ ომი არის უდიდესი უბედურება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა პროლეტარიატის უპირველეს მოვალეობას შეადგენს.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ შეასრულა ეს უპირველესი მოვალეობა მეორე ინტერნაციონალმა მსოფლიო ომის გამოცხადებისას: ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტში მას არ აღმოაჩნდა საკუთარი გზა, მან დაჰკარგა მებრძოლი კლასობრივი ორგანიზაციის ხასიათი, ჩაება შოვინისტური ვაკხანალიის ფერხულში და თავის ქვეყნების ბურჟუაზიის უერთგულესი მოკავშირე გახდა. მის მისამართით თვით მოკვეთეს არ შეეძლო ეთქვა:

„არ მომკვდარა. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“.

ვინაიდან ის მოკვდა, როგორც რევოლიუციონური კლასობრივი შეურიგებელი ბრძოლის შტაბი და ხელმძღვანელი, მაგრამ არ ეძინა როგორც იმპერიალიზმის მეორე განყოფილებას!

თანამედროვე ევროპა ეყრდნობა სამ ვეშაპს, ეს არის პარლამენტარული დემოკრატია, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია და ერთა ლიგა. რას წარმოადგენს და რას აკეთებს ყოველი მათგანი? პარლამენტარული დემოკრატია განაგებს ქვეყანას ერის სახელით. იგი არის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბატონობის პოლიტიკური ფსევდონიმი. ბურჟუაზია სასტიკად ებრძვის ყველას, ვინც ცდილობს გამოაშკარავნოს მისი ფსევდონიმი, თეთრი ტერორით უმასპინძლდება იმათ, ვისაც არ სჯერა ბურჟუაზიის „სათნოება და კაცთმოყვარეობა“ და მისი თვალთმაქცობა ხალას ჭეშმარიტებათ არ მიაჩნია.

საერთაშორისო ბურჟუაზიას სჭირდება საერთაშორისო ტრიბუნალი, თავისებური საერთაშორისო პარლამენტი, რომ დაფაროს თავისი ყველაზე მტაცებლური ზრახვანი—ასეთი დაწესებულება გახლავთ ერთა ლიგა, რომლის დიდი იმედი აქვს სხვათა შორის ჩვენს ემიგრაციასაც. ერთა ლიგა ბატონობის ფსევდონიმი. განა ერთა ლიგამ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში გადასჭრა თუნდაც ერთი საკითხი სამართლიანობის თვალსაზრისით და ჩაგრული ერებისა და მშრომელთა ინტერესების მიხედვით?! ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია?

ის სცენაზე იმეორებს მხოლოდ იმას, რასაც საერ-

თაშორისო პოლიტიკის დირიჟორები კულისებს იქით აჭახრაკებენ! არც მეტი, არც ნაკლები!

ვინ სხედან ერთა ლიგაში? იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები ისიც არა ყველანი და არა ერთნაირი უფლებებით.

როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ბურჟუაზია, რომელიც თავის საშინაო პოლიტიკაში არ ხელმძღვანელობს სამართლიანობის პრინციპებით და მშრომელთა ინტერესებით, ერთა ლიგაში იდეალიზმით გაიმსჭვალება, თავის საარსებო ინტერესებს უკუ აგდებს და კაცთა შორის მშვიდობიანობასა და სათნოებას დაამყარებს?!

რომ ლიგაში იყვენ ყველა ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლები—მაშინ, რა თქმა უნდა, სულ სხვა არის, მაგრამ მაშინ ერთა ლიგა აღარ იქნებოდა... ერთა ლიგა!.. თანამედროვე ევროპის მესამე ბოძს წარმოადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია დარაზმული მეორე ინტერნაციონალში.

კოროლების ყოფილ მინისტრთა სოციალიზმი დღესაც იმავე ჭაობშია, რომელშიაც ის 1914 წელს ჩაიძირა.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის **საერთაშორისო ცეცხლისმქრობელი** რაზმი—აი თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი სახელი!

ინგლისში, საფრანგეთსა, გერმანიასა, იტალიასა თუ ავსტრიაში—ის ყველგან და ყოველთვის ერთგული რჩება ამ თავის მოწოდების. ის უკვე აღარ არის რევოლიუციის მედროშე, ენერგიითა და გამარჯვების იმედით აღსავსე შეურიგებელი მებრძოლი, ის ინვალიდია პენსიითა და მუნდირით ბურჟუაზიისაგან დაჯილდოებულის! სოციალ-დემოკრატია დაკნინდა როგორც პრაქტიკულად, ისე თეორეტიულად. აი ორიოდე ფაქტი ამის საილიუსტრაციოთ.

ქ. კაუცკი უკვე სერიოზულად შეუდგა იმის დასაბუთებას, რომ აწ ევროპაში რევოლიუციები საჭირო არ არის (იხ. მისი „პროლეტარული რევოლიუცია და მისი პროგრამა“) მისი აზრით მკაცრი მეთოდები, ბარიკადები, ქუჩებში ბრძოლა ახლა საჭირო არ არის, ესენი საჭირო იყო მაშინ, როცა ხდებოდა ბურჟუაზიული რევოლიუციები.

ბურჟუაზიულ რევოლიუციას საქმე აქვს მეტად სათუთ მოვლენასთან—წარმოებასთან, სახალხო მეურნეობასთან, რომელიც გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ხელში უნდა აიღოს, რათა მას გაუძღვეს უკეთესად, ვიდრე მას ბურჟუაზია უძღვებოდა. რევოლიუცია მოასწავებს პერტურბაციებს, ის წარმოებაში არევ-დარევას შეიტანს, ამიტომ... ამიტომ ის საჭირო არ არისო!... აი კაუცკის უკანასკნელი ფილოსოფია!.. 1920 წელს ნ. ჟორდანიამ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში განაცხადა: „1914 წელს ომამდე ჩვენ სოციალიზმთან უფრო ახლოს ვიყავით, ვიდე დღეს (1920 წ.) ვართო“ რა მოსაზრებით? იმ მოსაზრებით თურმე, რომ ომამდე დოვლათი მეტი გვქონდა, ომის დროს კი მეურნეობა განადგურდაო. 1914 წლის შემდეგ დაემხო მონარქია გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, დაეცა თვითმპყრობელობა რუსეთში, მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია, მსოფლიო მასშტაბით დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობის უდიდესი აღზევება. თურმე ყველაფერი ეს არაფერი ყოფილა!..

მაპატიოს ძველმა მარქსისტმა, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეს არის მარქსიზმის მეტად ვულგარული გაგება და სინამდვილეს სრულებით არ შეეფერება!

რა ხდება დღეს? ერთა ლიგის მოღვაწეობა იმდენად უმსგავსო შეიქნა, რომ თვით ლორდი რ. სესილი „აღშფოთებულია“.

მსოფლიო მასშტაბით ძლიერდება ფაშისტური რეაქცია. ეს დებულება დღეს ტრაფარეტულია, მაგრამ ულმობელ სინამდვილეს შეიცავს.

საკოსა და ვანცეტის დასჯა არის უდიდესი სილა, რომელიც ბურჟუაზიამ საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას შესთავაზა. აშკარაა, რეაქცია გრძნობს თავის ძალას.

სწარმოებს იმპერიალისტების განუწყვეტელი შეიარაღება („განიარაღების“ ფსევდონიმით!) მზადდება ახალი უსაშინეელესი ომი!..

სად არის მეორე ინტერნაციონალი? რას აკეთებს ევროპის სოციალიზმი?

„А Васька слушает да ест“!

დიახ, ის აღარ სჩანს რევოლიუციის პოსტზე, ის თავს იქცევს ბურჟუაზიის მიერ ბოძებული ნამცეცებით.

სირცხვილია!..

ლეო შენგელაია.

# საერთაშორისო კოოპერაციის კონგრესი

აგვისტოს მეორე ნახევარში ქ. სტოკჰოლმში შეიკრიბა საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის (გაერთიანების) მორიგი კონგრესი.

არსებული წესით ეს კონგრესი იკრიბება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის ხელმძღვანელთათვის ფრიად დამახასიათებელია მისი ყოფილი მდივნის საჯარო განცხადება, რომ ალიანსის კონგრესები იკრიბება იმ მიზნით, რათა სხვადასხვა ქვეყნების კოოპერატორებს დასვენებისა და გართობის საშუალება მიეცეთ.

ამ დასვენებისა და გართობის მაძიებელ კონგრესის ცხოვრებაში 1921 წლიდან გაჩნდა ახალი ძლიერი ნაკადი საბჭოთა კოოპერაციის დელეგაციის სახით, რომელიც ენერგიულად ცდილობს თავისი პროლეტარულ-კოოპერატიულ მრწამსის დაცვას კონგრესის სხდომებზე და ამით სრულებით უფუჭებს ალიანსის რეაქციონურ-კონსერვატიულ და შემთანხმებელ-რეფორმისტულ წრეებს როგორც დასვენების, ისე გართობის მადას.

ამ მხრით განსაკუთრებით გამოირჩევიან ალიანსის მეთერთმეტე კონგრესი, რომელიც ქ. გენტში შეიკრიბა 1924 წელს, და ქ. სტოკჰოლმში მიმდინარე წლის აგვისტოში შემდგარი მეთორმეტე კონგრესი.

ეს უკანასკნელი კონგრესები უფრო გაფთრებულ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენენ, ვიდრე გასართობად და დასასვენებლად შემდგარ კრებულს.

მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ კოოპერატიული ალიანსი ერთად-ერთი საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელშიაც წარმოდგენილი არიან როგორც ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა ორგანიზაციების, ისე საბჭოთა ასეთივე ორგანიზაციების დელეგატები.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესს აძლევს ამ ორგანიზაციის მუშაობის შინაარსსა და შედეგებს. აქ პირისპირ და უშუალოდ ხვდებიან ერთმანეთს ძველი კოოპერაციის მესვეურნი და საბჭოთა კოოპერაციის მეთაურები და მათი ბრძოლა კოოპერატიულ მოძრაობის ძირითად საკითხებზე ძვირფას მასალას იძლევა როგორც ბურჟუაზიულ ქვეყნების კოოპერატიულ ბიუროკრატიის ნამდვილ სახის გამოსარკვევად, ისე საბჭოთა კოოპერაციის რევოლიუციონურ როლის გასათვალისწინებლად.

ორმოცდა ათ მილიონამდე კაცს აერთიანებს საერთაშორისო კონგრესი; დიდ ნაწილს ამ მასისას მშრომელი მოსახლეობა შეადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა ალიანსის დღევანდელ ხელმძღვანელთა უმრავლესობა დიდად დაშორებულია ამ მოსახლეობის ინტერესის დაცვასა და მათთვის ბრძოლის სურვილს.

განსაკუთრებულის სიცხადით ვიხილეთ ჩვენ ალიანსის მეთაურთა უყურადღებობა მშრომელთა ინტერესებისადმი სტოკჰოლმის კონგრესზე. სამაგიეროდ ამავე კონგრესმა გვიჩვენა საბჭოთა კოოპერაციის რევოლიუციონურ როლისა და მნიშვნელობის უნაკლო დემონსტრაცია.

კონგრესის კონსერვატიული და რეფორმისტული უმრავლესობა ყრუ და ბრმა აღმოჩნდა დღევანდელ სა-

ერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებისადმი და ამით მან ერთხელ კიდევ ნათელყო ის გამოუვალი ჩიხი, რომელშიაც მათ შეიყვანეს მშრომელთა განთავისუფლების საქმეში ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე მოძრაობა, როგორიც არის კოოპერაცია.

ამაოდ ცდილობდა საბჭოთა კოოპერაცია კონგრესის ყურადღების გაღვივებას საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებისადმი. კონგრესის უმრავლესობა ამოეფარა თავის ფარისევლურ „პოლიტიკურ ნეიტრალობის“ პრინციპს და ხმის უმრავლესობით მოიგერია საბჭოთა დელეგაციის წინადადებები და განცხადებები.

საბჭოთა დელეგაციამ კონგრესზე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ცხოვრება დღეს ხასიათდება ბურჟუაზიის თავშეუკავებლობის ეკონომიური და პოლიტიკური იერიშებით პროლეტარიატის წინააღმდეგ. რომ სამუშაო დღის გადიდებისა და ხელფასის შემცირების მოვლენები საშინელ საფრთხეს უმზადებენ მშრომელთა მასების ინტერესებს, რომ ფაშისტური თარეში ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთელ რიგ პოლიტიკურ ამოცანებს უყენებს საერთაშორისო კოოპერაციას, რომ ომის საფრთხე რეალურ მოვლენად იქცა და საჭიროა ამის წინააღმდეგოდ ხმის ამაღლება.

ყველა ამ საკითხებზე კონგრესის უმრავლესობამ ან სრულებით არ ისურვა შეჩერება ან და მიიღო მეტად შეკვეცილი და წყალნარევი დადგენილებები.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საბჭოთა დელეგაციის ყოფნამ კონგრესზე იძულებული გახადა კონგრესის ხელმძღვანელნი გაემართათ მსჯელობა თანამედროვეობის ფრიად მტკივნეულ საკითხებზე და ამაში არის კონგრესის ერთი დადებითი შედეგთაგანიც. დაისვა საკითხი ომზე, პროფკავშირებთან ურთიერთობაზე, მუშა-მომხმარებლის და გლეხ-მწარმოებლის დაკავშირებაზე და სხვა ამგვარი. ამას გარდა, საბჭოთა დელეგაციამ შესძლო ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხებში უმრავლესობისათვის დათმობების გამოგლეჯა. ეს გარემოება მომავალში განამტკიცებს საბჭოთა კოოპერაციის ადგილს და მნიშვნელობას საერთაშორისო კოოპ. ალიანსში და გახდის მას იმ მიმზიდველ წერტილად, რომლის გარშემოც შემოიკრიბებიან საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობის ნამდვილი რევოლიუციონური ძალები.

 შ. დ.

# კოტე მაყაშვილის ხსოვნას

პარასკევს მივაბარეთ მიწას ნეშტი კოტე მაყაშვილისა, მივაბარეთ ნეშტი და მისი გული და სული ჩვენ დავიტოვეთ.

კოტე მაყაშვილის გული!

ის არ იყო გმირი, ფართე მასებისათვის ცნობილი, თავის მეობის განმდიდებელი. ის იყო წყნარი, უჩინარი, ცდემამოსილი და პოეტის მთელი არსებით!

მრავალ ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ფურცლებზე გაფანტული მისი ლირიკული ლექსები, სიო-ზით და პოეზიით სავსენი, ჯერ კდევ ცალკე წიგნებად არ გამოსულან.

სახელგამის მიერ გამოცემული პოემა „ეშმაკი საქართველოში“ არ არის კოტე მაყაშვილის დამახასიათებელი ნაწარმოები. ჩვენ მას გავიცნობთ, როცა ხელთ გვექნება მისი ლირიკული ლექსები და მაშინ დავინახავთ თუ რა დიადი გული ჰქონდა მას. ჩვენ მაშინ დავინახავთ, რომ გმირი ის კი არ არის, ვინც სახელი განდიდებით ან ჭკუით მოიპოვა,—არამედ გმირი და პოეტი ის არის, ვისაც გული აქვს დიდი.

კოტე მაყაშვილს ჰქონდა დიდი გული...

ერთს პატარა ლექსში კოტე თავის გულს ეკითხება: „რა გინდა, რა?“.. ოო!.. მის გულს მოჭარბებული გრძნობა ჰქონდა, მოზღვავებული კეთილი სურვილები, სამშობლოს უანგარო სიყვარული. და ეს გული ისეთი ძალით ჰფეთქდა, რომ მისი გონება ვერ ასწრებდა ნაკარნახევის აზრებათ ქცევას... ასეთი გული დიდ ხანს ვერ უძლებს ფეთქას. იქნებ ამიტომ მღეროდა კოტე:

„სანამ მქონდა ძალ-ღონე
სევდას ვკლავდი უმალ მე
ახლა მთლად მოვიქანცე
რა ვქნა, შენი ჭირიმე“!..

მაგრამ მისი სევდიანი გული, მუდამ იმედებით იყო სავსე. და განა ამიტომ არ იყო, რომ მწერალთა კავშირის სხდომებზე ის მუდამ შემაერთებელი ცენტრი იყო, კავშირი სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის გამწვავებული მდგმარეობის დროს და საქმის სიყვარულით დაინტერესებული.

ჯენტლმენი ამ სიტყ... მდვილი მნიშვნელობით. დინჯი. მოსაზრებული და პიროვნების პატივისმცემელი...

და მერე, როგორი უბრალო, გულჩვილი, უწყინარი.

კეთილშობილი რაინდი. თოვლსავით წმინდა და ყინულსავით სპეტაკი...

ყველა ეს თვისებები თან წაიღო კოტემ...

ხოლო მის მეგობართ დიდ ხანს ექნებათ ხსოვნაში მისი პატიოსანი შუბლი, ახოვანი ტანი, მიმზიდველი სახე,—მის შინაგან ლამაზ ბუნებასთან რომ იყო ჰარმონიულად შეზავებული...

მალე მოიღალა კოტეს გული... ჯერ კიდევ ორმოცდაათ წელსაც არ იყო მიტანებული. მაგრამ, სანამ ჰფეთქდა,—იგი იყო დაუდგომელი,—პოეზიით და კეთილი სურვილებით სავსე.

ის არ იყო მხოლოდ პოეტი, ის იყო დიდი მოქალაქე და როგორც ასეთი მუდამ სათავეში ედგა ყოველ საქმეს, სამშობლოს კეთილი ზრახვებით რომ იყო გამსჭვალული.

მოიღალა კოტეს გული. მოიქანცა და ფერფლად იქცა. სევდამ და მწუხარებამ დაასუსტა იგი! დიდი ზრახვების მატარებელი გულის ფეთქა შეწყდა. აღარა გვყავს კოტე მაყაშვილი. მიწას მივაბარეთ მისი ნეშტი...

მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო—ვიქონიოთ ისეთი გული, როგორიც კოტე მაყაშვილს ჰქონდა!..

დავით სულიაშვილი.

# ფაქტების უარყოფა შეუძლებელია

პოლიტიკური პარტიები გამოხატავენ ამა თუ იმ კლასისა თუ ჯგუფის სულისკვეთებას და ისახავენ განსაზღვრულ მიზანს—სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავის ხელში ჩაგდებას.

თუ ეს მიზანი არ ამოქმედებს პოლიტიკურ მიმდინარეობას, მაშინ მისი არსებობა ჰკარგავს მნიშვნელობას და მან ისტორიას უნდა ჩაბარდეს.

რა გზით არის შესაძლებელი ძალა-უფლების ხელში აღება?

ამისათვის არსებობს ორი შესაძლებლობა: პირველი აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმრავლესობის მიღებით და მეორე შეიარაღებული აჯანყების მოწყობით არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ პარტიათა შორის, რა თქმა უნდა კომუნისტური პარტიების გამოკლებით ძალა-უფლების დასაპყრობად უმთავრესად ბრძოლა სწარმოებს საპარლამენტო არჩევნების საშუალებით.

მართალია ამ არჩევნებში ისინი მიმართავენ ათასგვარ მახინაციებს თავიანთი მოწინააღმდეგის გასაშავებლად, მაგრამ რომელმა პარტიამაც არ უნდა ჩაუდგეს სათავეში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას საქმეს, სულ-

ერთია, ამით მდგომარეობა დიდათ არ იცვლება, არსებული წესწყობილება უცვლელი რჩება და ბურჟუაზიის საკუთრებას საფრთხე არ მოელის.

ასეთი მაგალითები ჩვენ მრავალ ქვეყნებში გვქონდა, მაგრამ ყველას ჩამოთვლას აქ არ შეუდგებით და დავკმაყოფილდებით მარტო ინგლისის მაგალითით.

როგორც მკითხველმა იცის 24 წელში ინგლისის მართვა-გამგეობას სათავეში ჩაუდგა მუშათა პარტია მაკდონალდის მეთაურობით, რომელმაც ბლოკი შეკრა ლიბერალებთან, მაგრამ ამით ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში სრულებითაც არაფერი არ შეცვლილა. იქ ბურჟუაზიული სისტემა დარჩა ძველებურად ხელუხლებილი. მაკდონალდის მთავრობამ არ მოისურვა თვით რკინისგზებისა და მაღაროების ნაციონალიზაციაც კი, რასაც დიდი ხანია მოითხოვენ ინგლისის მუშები.

იცოდა რა ბურჟუაზიამ ინგლისის მუშათა პარტიის ერთგულება ბურჟუაზიული წყობილებისადმი, მისთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, და სრულიად გულდამშვიდებულად გადააბარა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე უწყინარ „სოციალისტებს“. შემდეგ კი ამზ. ზინოვიევის ყალბი წერილის საშუალებით ისევე ადვილად მოახერხა ძალა-უფლების უკან დაბრუნება.

ცხადზე უცხადესია, რომ კომუნისტური პარტია ჩასდგომოდა სათავეში ძალა-უფლებას კაპიტალისტური სისტემა შეიცვლებოდა და ბურჟუაზიც თავგამოდებული ბრძოლას გაუმართავდა მის მოწინააღმდეგეს.

დღეს მსოფლიოში ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირდაპირებულია ორი ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ორი სისტემა—კაპიტალისტური და საბჭოთა.

პირველი ცდილობს ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას, მეორე კი კაპიტალისტური სისტემის დამხობას და მის ნანგრევებზე საბჭოთა წყობილების საშუალებით სოციალიზმის დამკვიდრებას.

ეს დაპირდაპირება იმდენად მძაფრია, რომ მათი შეთანხმება, კომპრომისის გამონახვა შეუძლებელია.

პირველის სასარგებლოდ იბრძვის ყველა პოლიტიკური პარტიები რეფორმისტების მიმატებით, მეორესთვის კი კომინტერნში გაერთიანებული კომუნისტური პარტია.

ოქტომბრის რევოლიუციამ ყოფილ რუსეთის იმპერიაში დაამყარა საბჭოთა სისტემა. ამ ქვეყნიდან განდევნილი კონტრ-რევოლიუციონური პარტიები კი კვლავ ოცნებობენ ძალა-უფლების დაბრუნებაზე.

როგორია მათი გზა ამ შემთხვევაში?

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მათთვის ერთად-ერთი გზაა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რაც არა ერთხელ სცადეს ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლებში.

კერძოთ საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 24 წელში შეეცადა აჯანყების გზით ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. შემდეგ კი აჯანყების ინიციატორობაზე უარი განაცხადეს და პილატესავით ხელები დაიბანეს.

საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერმა აღმშენებლობითი მუშაობამ და აგვისტოს ამბებმა გამოაფხიზლა საქართველოს მშრომელი მასები და მან საბოლოოდ ამოუდგა გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას და ჩაება ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევდა პარიზში არსებული მენშევიკური პარტიის ბიურო და შეუდგებოდა თავისი ტაქტიკის გადაფასებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ისინი ისევ ძველებურად ოცნებობენ ძალა-უფლების დაპყრობაზე.

ხარკოვში შემდგარი სასამართლო, რომელმაც ანჯაფარიძე და მისი ხელისშემწყობნი გაასამართლა და აგრეთვე ის სადირექტივო წერილები, რომლებიც ნოე ჟორდანიამ და ნოე რამიშვილმა გამოატანეს საქართველოში გამოგზავნილ ემისარს, ნათლად ამტკიცებს, რომ მენშევიკების ბელადები პარიზში და დანარჩენი კონტრ-რევოლიუციონერები გულის ფანცქალით მოელიან საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის გართულებას, რომ ომის შემთხვევაში ზურგიდან ჩასცენ მახვილი საბჭოთა ხელისუფლებას.

თუმცა მენშევიკებს ბედი არ სწყალობს საქართველოში არალეგალური მუშაობის საწარმოებლად, რადგან მათი რიგები ძალზე შეთხელებულია, მაგრამ დრო-გამოშვებით მაინც ამცნობენ თავიანთ მრევლს, რომ ისინიც არსებობენ და ეწევიან „მუშაობას“.

ამას წინედ მენშევიკურმა „ცეკამ“ გამოსცა ფურცელი, რომლის შინაარსი ძველებური მამაოჩვენოა, რითაც ისინი დიდი ხანია კვებავენ მათ მიმდევრებს. მასზე შეჩერება უბრალო დროს დაკარგვა იქნებოდა, ხოლო თუ ჩვენ მაინც ვეხებით მას მხოლოდ იმიტომ, რომ იქ სხვათა შორის მოხსენებულია ის ახალგზელები, რომლებმაც დიდი ხანია კავშირი გასწყვიტეს მენშევიკურ პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებას ამოუდგენ გვერდში.

ფურცელში სხვათა შორის ვკითხულობთ: „კომუნისტურ ხელისუფლებას დღეს გვერდს უმშვენებენ ეგრედ წოდებული „ახალგზელები“, რომელნიც ბოლშევიკურად მოინათლენ და იწამეს ლენინის „წმინდა სახარება“. ქართველ ერს დაუძინებელ მტრების სახით მოევლინენ ეს რენეგატები და ქვეყანას უმტკიცებენ, რომ პარიზის ემიგრაცია და საქ. ს.-დ. პარტია შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობენო“.

ასე რომ პარიზში მოკალათებულ ბელადებს არც ადგილობრივ მათი ხელქვეითები ჩამორჩენ და ესენიც თავისებური მარგალიტებით გვამკობენ.

ზედმეტად მიგვაჩნია რა ამ ეპიტეტებზე პასუხის გაცემა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხაზი, რომელიც აქვს აღებული ახალგზელებს, არის სრულიად სწორი და მიზანშეწონილი საქართველოს მშრომელი ხალხი საკეთილდღეოთ.

მართალია ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ცდას, მიმართულს შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის და ამას დაუფარავად, ხმა მაღლა ვაცხადებთ, მაგრამ ეს ჩვენი განცხადება გამომდინარეობს სწორედ იმ სადირექტივო წერილებიდან, რომელიც საქართველოში ემისარმა ჩამოიტანა.

რა ეწერა ამ წერილში?

ნოე ჟორდანია ერთ ასეთ დავალებას აძლევდა „პრაგელს“: „მესამე დავალებაა ტაქტიკურ-პოლიტიკური, პარტიის მთავარი მიზანია ამ მიმდინარე მომენტს შეხვდეს დარაზმულად და ისევე დარაზმულად შეახვედროს მთელი ხალხი რუსეთის პოლიტიკურ წყობილების მოსალოდნელ გარდატეხას“.

რას ნიშნავს ეს, „მიმდინარე მომენტს შეხვდეს დარაზმულად“, თუ არა მოსალოდნელ გართულების დროს შეიარაღებულ გამოსვლას? ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა ინგლისთან მოსალოდნელი გართულება.

ნოე რამიშვილი უფრო გაბედული კაცია და მან უკვე მთავრობის შედგენის გეგმაც კი გამოატანა საქართველოში სამუშაოდ გამოგზავნილ ქარციველს. ის მოუწოდებდა აგრეთვე მოეხდინად ჩუმი აღრიცხვა თავიანთი თანამგრძნობების.

განა ამის შემდეგ უფლება არა გვქონდა გაგვეფრთხილებია საქართველოს მშრომელი ხალხი, რომ ის ხელახლა არ წამოგებოდა მენშევიზმის ანკესზე?

ჩვენ აღარ გვსურს ქართველი ხალხის სახელით ივაჭროს ევროპის ბურჟუაზიულმა მთავრობებმა თავიანთი ინტერესებისათვის.

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აჯანყება არ გვჭირდება დღეს საქართველოს სინამდვილეში“-იო, ვკითხულობთ ხსენებულ ფურცელში და ამას ამბობენ ისინი ზემოხსენებულ წერილების გამოქვეყნების შემდეგ.

სრული ჭეშმარიტებაა, დღეს თქვენ არ გიწყობთ ხელს პირობები აჯანყების მოსაწყობად, რადგან შიგნით მშრომელი ხალხი ამის წინააღმდეგია და გარედ საგარეო მდგომარეობაც ვერ არის თქვენთვის ხელსაყრელი, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თუ შესაფერი მომენტი დაგიდგებათ არშეეცდებით თქვენი ზრა-

ხების განადგურებას და სწორედ ამიტომ არის, რომ ყოფილი მენშევიკები და მათი ჟურნალი „ახალი გზა“-ს მოქმედება იქითკენაა მიმართული, რათა ერთხელ და სამუდამოდ დიანებოთ თავი აჯანყებაზე ოცნებას და საქართველოს მშრომელ ხალხს აკმოთ ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მიაყენა თქვენმა უტაქტიკო მოქმედებამ.

ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ის რატომ არ გსურს შეიგნოთ, რომ დამოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს საქართველო მუდმივ ქიშპობასა და ომებში იყო გართული მეზობელ რესპუბლიკებში და მოსვენება არ ჰქონდა.

ისეთივე ბედი მოელის შემდეგშიაც, რომ თქვენი ოცნება განხორციელდეს და საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდეს.

თქვენ სხვათა შორის დამოუკიდებლობის სახელით ერთ უზურპაციასაც ეწევით. ხალხს ჩასჩიჩინებთ „დაკარგულ“ დამოუკიდებლობის აღდგენაზე და ამავე დროს თქვენთვისაც ნათელია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს არ შეუძლია არსებობა თუ [illegible]ფედერაციაში არ შევიდა მეზობელ რესპუბლიკებთან.

კონფედერაციის პრინციპით ერის დამოუკიდებლობა ხომ შეზღუდულია, მაშასადამე სად ექნება საქართველოს დამოუკიდებლობა?

ჩვენ ერხელ კიდევ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ [illegible]დაჟინით შეებრძოლებით ყოველგვარ ცდას, მიმართულს შეიარაღებული აჯანყების მოწყობისაკენ და ამიტომ არის, რომ ვცდილობთ ანტისაბჭოთა პარტიების ლიკვიდაციას.

რამდენიც არ უნდა ამტკიცოდ, რომ არ გსურთ აჯანყების მოწყობა, ეს სიყალბე იქნება, მაშ რაღაა თქვენი არსებობის მიზანი და დანიშნულება?

პოლიტიკური პარტიის არსებობა წარმოუდგენელია თუ ის არ იბრძვის ძალა-უფლებისათვის და ლოღიკურად თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, მაგრამ რადგან თქვენი ბრძოლა არის კონტრ-რევოლიუციონური და მშრომელი ხალხის საზიანო, ამიტომ ვიბრძვით ჩვენ თქვენს წინააღმდეგ და რამდენადაც არ უნდა გვაგინოთ, ამ გზიდან მაინც ვერ გადაგვახვევინებთ და მას ბოლომდის განვაგრძობთ.

**ხ. ელიაძე.**

# ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ოთხი სექტემბერი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეთ ითვლება მთელ მსოფლიოში. ახალგაზრდათა კომკავშირის საფუძველი ჩაეყარა 1915 წელს და დღეს ის თავის დაბადების მეცამეტე წელს დღესასწაულობს.

დღევანდელი დღესასწაულის ჩატარება ერთხელ კიდევ დაარწმუნებს ბურჟუაზიულ მსოფლიოს, რომ მომავალ სოციალისტურ რევოლიუციაში მუშათა კლასს მოწინავე რიგებში ეყოლება საუკეთესო მებრძოლი ძალა კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობათ და შრომის ბატონობის დასამყარებლად

საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკაში ახალგაზრდათა მოძრაობა ორგანიზაციულ ფორმებშია ჩამოყალიბებული და კომკავშირის წევრთა რაოდენობა აქ უკვე ორ მილიონზე მეტით განისაზღვრება.

მას საბჭოების წყალობით დიდი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს გავლილი ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე; ის უკვე ოქტომბრის პირველი ბრძოლების დღიდანვე ჩაება საერთაშორისო რევოლიუციის ფერხულში და დღეს თამამად შეუძლია მსოფლიო ახალგაზრდათა მოძრაობის ხელმძღვანელობა იკისროს, რასაც საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდათა ორგანიზაციები პირნათლად შეასრულებენ.

მაგრამ ასე როდია ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

მაგალითად გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ავსტრია, ბულგარეთი და სხვა ქვეყნები დღეს წარმოადგენენ ფაშისტების სათარეშო არეს, სადაც ციხეებში ალპობენ ათასობით ახალგაზრდობას რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

მიუხედავათ ასეთი წამებისა და დევნისა, საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობა ამაყად და გმირულად ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას. არც დახვრეტა, არც ციხე, წამება და მრავალგვარი გაუგონარი ბარბაროსობა „განათლებული დემოკრატიული“ მთავრობებისა ვერ დააზევინებს უკან საერთაშორისო ახალგაზრდობის რევოლიუციონურ მასების თავის მიზნების მიღწევის საქმეში.

არა ერთი და ორი ათეული და ასეული ახალგაზრდობა გამოასალმა წუთი სოფელს ფაშისტურმა ტერორმა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ, მიუხედავათ ყოველგვარი წამებისა და დევნისა, საერთო რევოლიუციონური მოძრაობა პროლეტარული ახალგაზრდობისა მაინც ერთსულოვნად ცდილობს გაიკაფოს ბრძოლით გზა მსოფლიო ოქტომბრისათვის იქ, სადაც ჯერ კიდევ ბატონობენ კაპიტალისტები და მათი ქომაგები—სოციალ-მოღალატენი,

იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად არის გაყოფილი და კლასთა ბრძოლა დღითი-დღე მწვავდება, კაპიტალიზმის მესვეურები ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ ახალგაზრდობა თავის მხარეზე გადაიბიროს, რომ უზრუნველჰყონ მოკლე ხნით მაინც ძალაუფლების თავის ხელში შენარჩუნება და თავაშვებული ექსპლოატაციით სხვისი ნაშრომის მისაკუთრება.

მაგრამ დღეს ყველა ქვეყნის მუშებსა და მუშა-ახალგაზრდობას კარგად აქვს გათვალისწინებული დიდი ოქტომბრის მონაპოვარის მნიშვნელობა და ისინი ბურჟუაზიის ანკესზე აღარ წამოეგებიან.

თავის არსებობის მეცამეტე წელში საერთაშორისო რევ. ახალგაზრდობა დარაზმული გამოვა იმ საფრთხის საწინააღმდეგოთ, რომელსაც მშრომელ კაცობრიობას უმზადებს იმპერიალისტური სახელმწიფოები.

ყველა შეგნებული ახალგაზრდა უნდა გაიმსჭვალოს, იმ აზრით, რომ იმპერიალისტები მშრომელი მასების მორიგი ხოცვა-ჟლეტისათვის ემზადებიან და უმთავრესად მიზანში საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკები ჰყავთ ამოღებული, რათა მასში ჰხედავენ იმ მესაფლავეს, რომელსაც ისტორიამ არგუნა კაპიტალისტური წესწყობილების დასამარება.

მუშათა კლასს რომ მშვენივრად შეუძლია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ამას ისიც ამტკიცებს, თუ როგორ მიმდინარეობს საკ. საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობა, მისი სამეურნეო ძალების აღორძინება, რომელშიაც სხვებთან ერთად, ჩვენი პროლეტარული ახალგაზრდობაც უშუალო მონაწილეობას ღებულობს.

სოციალისტური მშენებლობა კაპიტალისტებს ძილს უფთხობს და მოსვენებას არ აძლევს.

რევ. ახალგაზრდობას კი ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ საბჭოების არსებობაში იჭედება მის მიერ მომავალი ბედნიერება.

ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრი მოიპოვება ამ უკანასკნელ ხანებში: იზრდება, გაჯანსაღების გზას ადგია ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა და საღათას ძილს თავს აღწევენ, ბურუსით მოცულ ლამაზი სიტყვების მაგიერ ევროპის მუშათა კლასი ნამდვილ რეალურ საქმეს მოითხოვენ თავიანთი გამყიდველი ლიდერებიდან, რომლებთაც ისე გაუტკბად ბურჟუაზიის მიერ ნათავაზები თბილი ადგილები, რომ აღარ უნდათ მისი ადვილად დაკარგვა.

გავიხსენოთ ვენის ამბები ივლისში, თავგამოდებული ბრძოლა ბარიკადებზე ფაშისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პოლიციასთან ავსტრიის ახალგაზრდობისა, ის გრანდიოზული დემონსტრაციები, რომლებიც მთელი ევროპის ქალაქებს მოედო ამერიკის ბურჟუაზიის ბარბაროსობის წინააღმდეგ საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გამო: პარიზის ქუჩებში მუშათა მასების საპროტესტო დე-

მონსტრაცია ამერიკელების წინააღმდეგ, რომელმაც მუშათა რაიონებში ნამდვილი ბარიკადების აღმართვის ხასიათი მიიღო.

ყოველივე ეს აკავშირებს და რაზმავს იმ უძლეველ მებრძოლთა რიგებს საერთაშორისო ახალგაზრდობისას, რომლებიც მომავალ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან გადამწყვეტ როლს ითამაშებს რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად.

საერთაშორისო ახალგაზრდობის მე-13-ტე წელს საქართველოს ახალგაზრდობაც გვერდში უდგას მთელი ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობას და თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში.

უ. ჯაში.

# ათი წელი

დღეს საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა ზეიმით ხვდება ახალ. ლენინ. კომკავშირის 10 წლის თავს. ეს ზეიმი კიდევ ერთი ძვირფასი ფურცელია საქართველოს რევოლიუციონური ახალგაზრდობის ისტორიაში. დღევანდელი დღესასწაული,—საქართველოს ახალგ. ლენ. კომკავშირის თავდადებული ბრძოლისა და შრომის 10 წ. თავი, რომელიც უერთდება მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობის მიერ დაწყებული ბრძოლის 13 წლის თავს—კიდევ უფრო დიადია ჩვენთვის.

დღევანდელი დღესასწაული, დღევანდელი ზეიმი საქართველოს გამარჯვებული მშრომელი ახალგაზრდობის, კიდევ ერთი სასიკვდილო განაჩენია და თავზარდამცემი ლახვარი ნ. ჟორდანიას პროვოკაციული და კონტრრევოლიუციონური პოლიტიკის ქვეშ მყოფი ე. წ. „ახალგაზრდა მარქსისტთა“, უბადრუკი და ულონო ჯგუფებისათვის. დღეს ყველა დარწმუნებულია, ყველასათვის აშკარაა, რომ „ახალგ. მარქსისტთა“ სახელწოდების ყალბი შირმის ქვეშ იმალება ავანტიურისა და სამარცხვინო შპიონაჟის საქმიანობა, რითაც ერთნაირად სარგებლობს როგორც მე-2 ინტერნაციონალის „ცნობათა ბიურო“, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმის ჯაშუშთა ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს მორალურად და პოლიტიკურად გარყვნილი ელემენტები, ქართველი ახალგაზრდა ნაძირალები არაფერს არ ერიდებიან, არ თაკილობენ, რომ პირნათლად შეასრულონ ჟორდანია-რამიშვილების პროვოკაციული დავალებები, გულმოდგინეთ და ბეჯითად ემსახურეოდიან საერთაშორისო რეაქციის საქმეს. მაგრამ მეტად სუსტი არიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ომის წარმოებისათვის, მათ არ შეუძლიათ შექმნან ბარიკადები საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომლებიც მტკიცედ არიან დარაზმულნი რევოლიუციონური სულით და იდეით გამსჭვალულ ორგანიზაციებში. ლიოვილის პოლიტიკური ავანტიურისტები სასტიკად მოსტყუვდებიან, უფრო მეტად ვინემ 1924 წ. აგვისტოში, თუ კიდევ ოცნებობენ საქართველოს რევოლიუც. ახალგაზრდობასთან ომის დაწყებაზე და გამარჯვებაზე.

დიდი ხანია გაიფანტა ის შოვინისტური ბურუსი, რომელშიდაც იყო გახვეული ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი, ის ბურუსი, რომელიც დააყენა საქართველოში მენშევიზმმა, თავის პოლიტიკური ბატონობის შესანარჩუნებლად, ოქტომბრის რევოლიუციისაგან თავის დასაღწევად.

დღეს მშრომელი ახალგაზრდობა ჯეროვანად ერკვევა პოლიტიკურ კითხვებში, საკმაოდ გაცნობილია მარქსიზმის თეორიას, საბჭოთა ხელისუფლებას და ძნელია ისეთი უვიცების და გზააბნეულების მონახვა, რომლებიც მენშევიზმის რესტავრაციისათვის იმუშავებენ, ყოველ შემთხვევაში, ესენი იქნებიან კარიერიზმის სენით შეპყრობილი უსაქმო ინტელიგენცია, რომელთა „სიძლიერე“ „ქათმებს სასაცილოდ არ ეყოფათ“.

არა თუ აქ—საქართველოში, სადაც მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე სდგას საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ევროპის კონტინენტზედაც, სადაც კომუნისტური აზროვნება სახელმწიფოს ღალატად არის გამოცხადებული სოც. დემ. ორგანიზაციები მთავრობის დაცვის ქვეშ დაყენებული, ვერ მოახერხეს მათ მშრომელთა ახალგაზრდობის თავისი გავლენის ქვეშ დაყენება, დამორჩილება და კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციებში გაერთიანებულნი ისინი მედგრად იბრძვიან ბურჟუაზიის ერთგულ მსახურთა ცრუ მარქსისტთა წინააღმდეგ.

დღეს, საქარლველოს კომუნისტური კავშირის არსებობის ათი წლის თავზე, მტკიცე რიგებათ გამოსული მშრომელი ახალგაზრდობა, მკაცრად ჩასცემს განუკურნებელ ლახვარს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, აჩვენებს მათ თავის ორგანიზაციულ სიძლიერეს. მისი არსებობის და ბრძოლის 10 წ. იუბილე, ერთხელ კიდევ დაარწმუნებს ყველას, რომ ვერავინ შესძლებს ისტორიის მარჯვე ხელში გადაცემული, სოციალიზმის დროშის დახრას, მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობის დროშის, შოვინისტურ-რაექციონურ დროშით შეცვლას.

საქართველოს გამარჯვებული მშრომელი ახალგაზრდობა ზეიმით ეგებება საერთაშორისო მშრომელი ახალგაზრდობის ბრძოლის 13 წლის თავს და შესძახებს მათ: „თქვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, ამის თავდებია საბჭოთა ქვეყნების კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატის და მშრომელი ახალგაზრდობის სიმტკიცე და ძლიერება“.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგ. ლენინელთა კომკავშირის 10 წლის თავს!

გაუმარჯოს საკავშირო ახალგ. ლენინელთა კომკავშირს!

გაუმარჯოს ახალგაზრდა ლენინ. კომკავ. ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ა. შ—ძე.

# სანავთო ომი

2

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური ინსტიტუტის გამოანგარიშებით ცალკე ქვეყნების პროცენტუალური დამოკიდებულება მსოფლიოს სანავთო მარაგისადმი შემდეგია:

| | |
|---|---|
| ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები და ალიასკა | 16,3 პრ. |
| საბჭ. რუსეთი (კავკასია, ციმბირი, სახალინი და ჩრდ. რუსეთი) | 15,7 „ |
| სპარსეთი და მესოპოტამია | 13,5 „ |
| სამხრ. ამერიკ. ჩრდილ. ნაწილი და პერუ | 13,3 „ |
| მექსიკა | 10,5 „ |
| ბოლივია | 8,2 „ |
| შიგა ინდოეთი | 7,0 „ |
| ჩინეთი | 3,2 „ |
| იაპონია და კუნძული ფორმოზა | 2,9 „ |
| რუმინეთი, გალიცია და დანარჩენი ევროპა | 2,6 „ |
| კანადა | 2,3 „ |
| წინა ინდოეთი | 2,3 „ |
| ალჟირი და ეგვიპტე | 2,2 „ |
| სულ . . | 100,0 „ |

ამავე და სხვა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობა ნავთის მსოფლიო დამუშავებაში შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

| | პროდუქცია მილ. ბარელი*) 1918 წ. | %% მსოფლიო პროდუქციაში | პროდუქცია მილ. ბარელი 1922 წ. | %% დამუშავებული მსოფლიო პროდუქციისა |
|---|---|---|---|---|
| შეერთებ. შტატები | 208,4 | 63,4 | 546,5 | 65,5 |
| რუსეთი . . . . . | 57,5 | 17,5 | 30,0 | 3,7 |
| მექსიკო . . . . . | 23,2 | 7,0 | 178,0 | 21,2 |
| სპარსეთი . . . . | — | — | 18,9 | 2,3 |
| ჰოლანდ. ინდოეთი | 9,6 | 2,9 | 16,5 | 2,0 |
| რუმინეთი . . . . | 11,9 | 3,6 | 8,9 | 1,1 |
| ბრიტან. ინდოეთი | 6,5 | 2,0 | 8,5 | 1,1 |
| გალიცია (პოლონეთი) . . . . | 7,0 | 2,2 | 5,1 | 0,8 |
| პერუე . . . . | 1,0 | — | 4,2 | 0,5 |
| იაპონია და ალმ. აზია . . . . . | 1,6 | 0,5 | 2,5 | 0,3 |
| ტრინიდადი . . . | — | — | 2,6 | 0,3 |
| არგენტინა . . . . | — | — | 1,8 | 0,3 |
| ვენეცუელა . . . . | — | — | 2,1 | 0,3 |
| ეგვიპტე . . . . . | — | — | 0,4 | 0,2 |
| საფრანგეთი . . . | — | — | 0,4 | |
| გერმანია . . . . | 0,8 | 0,2 | 0,2 | 0,4 |
| დანარჩენი ქვეყნები | 2,2 | 0,7 | 1,2 | |
| **სულ** . | 328,7 | 100,0 | 728,8 | 100,0 |

*) ბარელი არის სითხის ზომა. ის უდრის პროდუქტის ხვედრითი წონის მიხედვით 118—142 კილოს (საშვალოთ 130 კილო, ანუ 8 ფუთი).

ორთავე ცხრილი მოწმობს შეერთებული შტატების პირველობას როგორც ნავთის მარაგის (16,3 პროც.), ისე ნავთის პროდუქციის მხრივ. შეერთებული შტატები ნავთის მოხმარების მხრითაც პირველობს. 1912 წელში გარდა თვისი პროდუქციისა მან გაიხმარა კი მსოფლიოს დამუშავების დაახლოებით $^3/_4$. 1920 წელში შეერთებული შტატების მიერ ნავთის მოხმარება უდრიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელმწიფოს ფლოტისათვის | | 11 | მილიონი ბარელი |
| სავაჭრო ფლოტისათვის . . | | 65 | „ „ |
| ექსპორტი . . . . . . . . | | 26 | „ „ |
| ინდუსტრია (მთელი მოხმარების 67 პროც.): | | | |
| ა) რკინის და ფოლადის | 15 | | „ „ |
| ბ) რკინის გზები . . . . | 50 | | „ „ |
| გ) გაზის ქარხნები . . . | 20 | | „ „ |
| დ) სხვა გადამუშავებული დარგები . . . . . . . | 130 | 215 | „ „ |
| **სულ** . . | | 317 | მილიონი ბარელი |

მიუხედავათ უძლიერესი მარაგისა ამერიკის კაპიტალი თავისი რესურსებით არ დაკმაყოფილდა და თანდათანობით სხვა ქვეყნებში შეიჭრა. პირველ ხანებში უცხო ქვეყნების ნავთის დაპატრონებას წმინდა კომერციული და გამდიდრების საფუძველი ქონდა, ხოლო როდესაც საკუთარმა მარაგმა დაკლება იწყო (უკანასკნელი გამოანგარიშებით ნავთის მარაგი კიდევ 30 წლის განმავლობაში საკმარისი იქნება), მოხმარებამ იმატა, ხოლო უცხოეთის ბაზარზე მეტოქეები გაჩნდენ, შეერთებული შტატებისათვის ნავთის მინდვრების დაპატრონება უკვე სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი გახდა. პირველად ნავთის პიონერთა მიერ დაწყებული შედარებით პატარა საქმე მთელი სახალხო მეურნეობის ძირითად საკითხად გახდა, რომელსაც ძალა უნებურად ძლიერი პოლიტიკური სახე მიეცა. სანავთო წარმოების განვითარებასთან ერთად გაძლიერდა ნავთის პროდუქტების ექსპორტი. შეერთებულმა შტატებმა ჩაიგდო ხელში თითქმის ყველა ბაზრები. ის ერთობ გაბატონებული იყო ევროპის ყველა ქვეყნებში.

სახელმწიფოს დახმარებიი. ამერიკა დაეპატრონა მექსიკის, კანადის, პერუს, ბოლივიას, ვენეცუელას, ფორმოზას, სპარსეთის, რუმინ●თის სანავთო მინდვრებს. უკანასკნელ ხანებში შეიჭრა აგრეთვე პალესტინაში, მესოპოტამიაში და იუგოსლავიაში. ასეთ ძლიერ მინდვრებს უკვე საფუძვლად ედვა წმინდა პოლიტიკის ხასიათის მიზეზები. უცხო მხარიდან გამომდინარე მეტოქეობა დაედვა ქვაკუთხედათ ერთის მხრით ამერიკის ექპანსიურ პოლიტიკას სანავთო საქმეში, ხოლო მეორეს მხრით პატარა ქვეყნები, რომელთაც ეს ბუნებრივი სიმდიდრე გააჩნდათ. ხოლო პოლიტიკურათ უძლურნი იყვნენ, მეტოქეობის ობიექტი შეიქნა და გარეშე ძალების ინტერესთა საჯიჯგნ რაობათ გახდა.

საკმარისია გავიხსენოთ პერმანენტული „რევოლიუციები“ მექსიკაში, პერუ ბოლივიაში, სპარსეთში, გამუდმებული ბრძოლა მესოპოტამიისათვის და სხვა ნავთით მდიდარი ადგილებისათვის. ყველა ამ მოვლენებს საფუძვლად ედვა ნავთისათვის ბრძოლა. ყველაზედ უფრო ნიშანდობლივ მოვლენებს ქონდა ადგილი მექსიკაში, სადაც მეტოქე ძლიერი ქვეყნები ელასტიურათ აწარმოებდენ „დაყოფა გაბატონების“ პოლიტიკას. ცნობილია თუ როგორ უსისიანებდენ ერთი მეორეს მექსიკის პოლიტიკოსებს. მადეროს დიაცის წინააღმდეგ, ჰუერტს მადეროს წინააღმდეგ, კარანცას ჰუერტის წინააღმდეგ, ვილლა და ცაპატო კარანცას წინააღმდეგ და ასე დაულეველათ. უმთავრესი ანტრეპრენიორი აღნიშნულ მახინაციების იყო შეერთებული შტატები და ინგლისი, რომელიც 1914 წელში მხოლოდ ნავთის მსოფლიო წარმოების 2 პროცენტზე იყო გაბატონებული და 1920 წელში განცვიფრებული ქვეყნიერების წინაშე უკვე 56 პროცენტით უპირველესი ადგილი და ბატონობა ქონდა მოხვეჭილი. ცხადია ასეთი ნახტომის გაკეთება უბრალო საქმე არ იყო. აშკარაა ასეთ ექსპანსივობას მსხვერპლად შეეწირა მრავალი მილიონების ინტერესი, სიცოცხლე და ქონება, მაგრამ რა არის ყველაფერი ეს დიდი ბრიტანეთის დიდი პოლიტიკისათვის!—არაფერი. განა მთელი მისი სიძლიერე და ავლადიდება მსოფლიოს ძარცვა-გლეჯაზე, აწიოკება-აფორიაქებაზე არ არის აშენებული?

ინგლისის სამხედრო ფლოტის ნავთის სითბოზე გადასვლამ, ბუნებრივათ წარმოშვა ნავთის მინდვრებზე გაბატონებისაკენ მიდრეკილება. აშკარაა რომ მთლიანი ინგლისის პოლიტიკისათვის ეს საკითხი პირველ ხარისხოვანი პრობლემა იყო. ინგლისის მიერ ნავთის მოხმარა ომამდი უდრიდა მსოფლიოს პროდუქციის 15 პროც. აქედან ინგლისი თვისივე რესურსებიდან (ინგლისის ინდოეთი, ტრინიტადი). აკმაყოფილებდა მხოლოდ 2½ პროც. დანარჩენი რაოდენობა კი სხვა ქვეყნებში უნდა აღმოეჩინა. ინგლისის წინაშე იდგა საკითხი ნავთით არა მარტო ბრიტანეთის კუნძულების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, არამედ მთელ მსოფლიოში გაფანტულ დომინიონებისა და კოლონიების. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შემოტანილ იქნა ინგლისის იმპერიის

ფარგლებში: 1913 წელში 11.626.000 ბარელი 1922 წელში 28.886.000 ბარელი.

ინგლისის შინაურ სამრეწველო პოლიტიკაზე ნავთმა ღრმა გავლენა მოახდინა ნავთზე გადასვლამ ნახშირით სარგებლობა ავტომატიურათ შეამცირა, რის გამოც გაიმართა ძლიერი მეტოქეობა ნავთისა და ნახშირის ფასებს შორის. 1914 წელში ერთი გალონი ნავთი ($^{1}/_{42}$ ბარლი= 3,7 კილო = 9,25 გირვანქა) 1 შილინგი და 8 პენსი ფასობდა. (76 კაპ.). ომის დროს და ომის შემდეგ ფასები საგრძნობლად გადიდდა და 1920 წლის აგვისტოში 4 შილ. და 3 ნახ. პენსამდე (1 მან. 96 კაპ.). აქედან ნახშირის ფასების არაჩვეულებრივი დაცემის გამო (რაც ნავთის მეტოქეობით იყო გამოწვეული. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი). ნავთის ფასებმაც დაკლება იწყო და 1921 წლ მაისში 2. შილინგ და 11 ნახ. პენსამდე დავიდა (1მან. და 38 კაპ.). ფასები კიდევ უფრო დაიწევდა, რომ მემალაროეთა გაფიცვას ნავთის მაღალი კონიუნქტურისათვის ხელი არ შეეწყო. ის რაც მალაროების ბარონებმა დაჰკარგა, ნავთის მაგნატებმა ჩაიჯიბა, ხოლო ქვანახშირის წარმოება პერმანენტულ კრიზისში ჩადგა, რის გამოსწორება კაპიტალისტებმა ერთობ მუშების ანგარიშზე კარგა მოინდომეს. ამ ნიადაგზე გაიმართა ის განუწყვეტელი ბრძოლა რომლის ერთი გრანდიოზული ეპიზოდთაგანი ინგლისმა გასულ წელში განიცადა ქვანახშირის წარმოების მუშათა გაფიცვების სახით.

ინგლისის ინტენსიური სანავთო პოლიტიკა იწყება 1904 წლიდან, როდესაც ადმირალ ფიშერმა პირველათ ჩაუყარა საფუძველი სამხედრო ფლოტის ნავთზე გადასვლას. აქედან დაიწყო მუშაობის გაძლიერება ინდოეთის ბირმას რაიონში. ბირმას საზოგადოებიდან წარმოიშვა 1909 წ. ინგლის-სპარსეთის სანავთო საზოგადოება. მალე ეს საზოგადოება გაძლიერდა. ამჟამად მას 20 მილ. გირ. სტერლინგი კაპიტალი აქვს და დიდი გავლენით სარგებლობს, კანადის, მექსიკის, ტრინიტადის, რუმინეთის და ჰუნგრეთის სანავთო წარმოებებზე. მონოპოლიური მდგომარეობით სარგებლობს ავსტრალიაში და საგრძნობი გავლენა აქვს მოპოებული მესოპოტამიაში, სადაც ბაღდადის რკინის გზის შენების დასაწყისიდან მნიშვნელოვანი კონცესიები აქვს მოპოებული. ინგლისის სანავთო პოლიტიკის მატარაბელი არის აგრეთვე ევროპის უძლიერესი საზოგადოება. „როიალ დუტშ“, ანუ ნიდერლანდის და შელის სანავთო-სატრანსპორტო საზოგადეობა, რომლის გენერალური დირექტორი 1900 წლიდან მოჭ. დეტერდინგია. ეს საზოგადოება დაარსდა 1,1 მილ. გულდენის კაპიტალით 1890 წელში ჰოლანდიის ინდოეთის ნავთიანი მინდვრების ექსპლოატაციის მიზნით. 1902 წელს დაუკავშირდა ინგლისურ საზოგადოებას Shell Transport und Trading C$^{o}$. ამჟამად საზოგადოებაში ინგლისსპარსეთის საზოგადოების გავლენით, ინგლისია გაბატონებული.

ამრიგად მსოფლიო სანავთო ბაზარზე საქმე გვაქვს ორ უდიდეს კონკურენტს შორის, რომლებიც ყოველგვარ საშუალებებით ცდილობენ ერთი მეორეს დამარცხებას, და თავისი ინტერესების დაცვას. ეს ბრძოლა ხშირად მეტის მეტად მწვავე და ძლიერ ხასიათს ღებულობს არა მარტო დაინტერესებული მხარეებისათვის, არამედ არაპირდაპირად ძლიერ გავლენას ახდენს მთლიან მსოფლიო პოლიტიკაზე. შემდეგში ჩვენ აღვნიშნავთ ამ ბრძოლის ფაზებს, მათ ნიშანდობლივ თვისებებს და შედეგებს. აგრეთვე დავახასიათებთ უკანაკნელ ხანებში ამტყდარ ბრძოლას ამერიკასა და ინგლისის სანავთო ბარონებს შორის საბჭოთა ნავთის გარშემო.

ი. ნარსია.

# დაშვებულ გაუგებრობის გამო*)

**(მუშათა თეატრის ქართული სექციის ირგვლივ)**

დღევანდელ გარდამავალ ხანაში ხელოვნების განსავითარებლად, მისი მრეწველობის დასაპყრობად და მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად არ კმარა მარტო ძალაუფლებით გაბატონება. ამასთან ერთად საჭიროა გონების გაბატონებაც. საკითხისადმი სალი მიდგომა და მისი უმტკივნეულოდ გადაჭრა.

სოციალისტური ქვეყანა თავის სახელმწიფოებრივ შემოქმედების პროცესში გზადაგზა ანგრევს ძველს და ითვისებს ცხოვრების ახალ ფორმებს.

სახელმწიფოში პოლიტიკურად გაბატონებულმა პროლეტარიატმა თავის მიზნებს უნდა დაუმორჩილოს ხელოვნებაც. უკანასკნელი უნდა გადახალისდეს მუშათა მასების ნება-სურვილის მიხედვით. ის უნდა შეიქნეს განახლებულ ცხოვრების ზრახვათა და მისწრაფებათა გამომხატველი.

ძველიდან, ხელოვნების ახალ ფორმებში გადასვლა უნდა მოხდეს ბუნებრივად, თანდათანობით და არა ერთის დაკვრით, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

პროლეტარული მასების პოლიტიკურად და კულტურულად გათვითცნობიერების საქმეში უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს თეატრალურ შემოქმედებას.

განსაკუთრებით დიდია ხელოვნების როლი სოციალისტურ სახელმწიფოში, ამიტომაცაა, რომ წარმოებაში ჩაბმული მასები დიდის ხალისით და ენერგიით ეტანებიან თეატრს. თეატრში ცოცხლად გამოცემულ ნახულსა და გაგონილს ადვილად ითვისებს პროლეტარული მასა და პოლიტიკური და კულტურული იარაღით აღჭურვილი მიდის წინ, ალთქმის ქვეყნისაკენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის უტყუარი მაგალითები ჩვენ მოგვცა „სახალხო სახლის“ პრაქტიკულმა საქმიანობამ ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის ხანაში. და ვინაიდან ჩვენი წერილის მიზანია „მუშათა თეატრთან“ დაკავშირებულ ქართული სექტორის გარშემო შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიგონოთ აგრეთვე „მუშათა თეატრი“-ს წარსული ისტორიაც, მისი ტრადიცია და თვალსაჩინო როლი რევოლიუციის საქმეში.

მეფის რეჟიმის დროს თუ რომელიმე კულტურული დაწესებულება ემსახურებოდა მუშათა გათვითცნობიერების საქმეს, მათს შორის პირველობა უსათუოდ სახალხო სახლს“ და განსაკუთრებით მის ქართულ სექტორის მუშაობას ეკუთვნის. მთელი აქტიური ძალა თბილისის სხვადსხვა უბნებში გაბმულ სახალხო თეატრის მოღვაწეებისა შემოკრბენ სახალხო სახლის ირგვლივ. ეს იყო 1909 წლიდან. სრულიად გამზადილი სათეატროდ მორთული შენობა ხელს უწყობდა მუშაობის გაღვივებას, რაიც გაჩაღებულ იქნა კიდეც. თეატრის ხელმძღვანელებმა ძლიერ მალე შემოიკრიბა თავის გარშემო წმინდა მუშური აუდიტორია და ღირსეულადაც ემსახურებოდა მას. ამუშავდა 7—8 წრე თბილისში არსებულ ყველა ეროვნებიდან. ამ წრის მთავარ დასაყრდნობს წარმოადგენდა მთავარ სახელოსნოსა და დეპოს მუშები. ეს იყო მისი აუდიტორია და იდეური ხელმძღვანელიც. აქედან გამოვიდა ნამდვილი მუშა აქტიორები; სახალხო არტისტი გოცირიძე, ჯაბაური და სხ. გარდა იმისა, რომ თეატრი ემსახურებოდა ხელოვნების საქმეს .ის იმავე დროს გადაქცეული იყო თბილისის რევოლიუციონურ პროლეტარიატის პოლიტიკურ შტაბად. ეს ლეგალური ორგანიზაცია საუკეთესო საშუალება იყო არა ლეგალური ბრძოლის წარმოებისათვის. აქ იმართებოდა რეფერატები, პოლიტიკური დისპუტები და თუ გნებავთ არალეგალური კრებებიც კი. ვიმეორებთ, სახალხო სახლმა, ქართულ თეატრის ტრადიციის შექმნასათან ერთად თბილისის მუშათა მასებს შთაბერა რევოლიუციონური სული და პოლიტიკური შეგნებით დარაზმა ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რიგებში. აღნიშნული ისტორიულ

*) კამათის წესით.

რედ.

ღვაწლი წარუშლელია თბილისის პროლეტარიატის მეხსიერებაში და მისი ასეთი როლი მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო თანამედროვე რევოლიუციონური თეატრებისათვის.

რას ვხედავთ სინამდვილეში?

ამჟამად დასმულია საკითხი „მუშათა თეატრში" (ყოფ. სახ. სახლი) ქართული სექტორის მუშაობის შესახებ.

იძლევიან პროექტებს, რომ „მუშათა თეატრში"— არ უნდა არსებობდეს ქართული სექცია. ის უნდა გაითქვიფოს თბილისის კლუბებშიო. და ამას ამართლებენ იმით, რომ ქართველი სექტორის მუშაობა მოიკოჭლებსო და მაგალითისათვის მოჰყავთ შარშანდელი სეზონი.

ჩვენ ვიცით, რომ შარშანდელი სეზონი დაიწყო ძლიერ გვიან, წლის დასასრულს, რისთვისაც თეატრის ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს დახელოვნებულ მუშა-ძალების გამოძებნა, ვერც რეპერტუარის თავის დროზე დამუშავება, ნაკლები იყო აგრეთვე ფინანსიური საშუალებაც და ყველა ამ დაბრკოლებებმა დიახაც რომ შეაფერხა თეატრის მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა.

უნდა ითქვას, წრეულს დროიანად შეუდნენ მომზადებას, მაგრამ ჩვენთვის უცნობი, რაღაც გამოურკვეველ მიზეზების გამო საქმე თავის ადგილას სდგას, მას მსვლელობა არ ეძლევა.

როგორი ხელის შემშლელი პირობებიც არ უნდა იყვეს შექმნილი, (როგორც მაგალითად, რეჟისორის უყოლობა. ფინანსიური მხარე და სხვ.) ყველა დაბრკოლებანი უთუოდ უნდა იქნას დაძლეული, ძველ, მუშურ თეატრში ქართულ სექტორმა ძველებურადვე უნდა განაგრძოს მოღვაწეობა. მუშათა თეატრი და ქართული სექცია —ეს ისტორიულად განუყრელი, ორგანიულად შედუღებული სხეულია. მის ერთად თანამშრომლობას მოითხოვს მასთან შეზრდილი მუშათა მასები და თუ გნებავთ საღი პოლიტიკური მოსაზრებებიც კი.

გვეუბნებიან,—ქართულ დასს თამამად შეუძლიან კლუბებში მოთავსება, იქ მუშაობის გაჩაღებაო.

ეს მოსაზრება არაფრით არ გამართლდება.

რატომ მაინცა და მაინც ქართულ დასს შეუძლიან კლუბებში მოთავსება და არა რუსულს?

რატომ რუსული დასი უნდა გახდეს მუშათა თეატრის ნამდვილი იურიდიული ბატონ-პატრონი მთელი მისი ისტორიული სათეატრო დოვლათით და არა თბილისში არსებული ყველა მუშური დასები ერთად,—როგორც ეს წინად იყო?

ვერ გაგვიგია,—ვის რათ დასჭირდათ ასეთი ტაქტიკის წარმოება ,ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან საკითხის ასე ცალმხრივად გადაჭრას?

რატომ ვერ შეუგნიათ ამ გათიშვისა და განშორების პროექტების ავტორებს, რომ თანამედროვე კლუბები ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე მოწყობილი, რომ იქ შეუძლებელია შეიქმნას მუშური, მხატვრული თეატრი, რატომ ვერ შეუგნიათ მათ, რომ კლუბებში დადგმულ წარმოდგენების შედეგად დამსწრე აუდიტორია მიიღებს არა მხატვრულ, თეატრალურ შემოქმედებას, არამედ კლუბურ ხალტურას?

ან იქნებ დამსწრე საზოგადოების პროცენტული სიმცირე აქვთ მხედველობაში?

თუ ეს ასეა—კეთილ ინებეთ და ჩააყენეთ უკვე ათვალწუნებული ქართული სექტორიც იმ პრივილეგიურ პირობებში—როგორშიაც დღეს რუსული სექტორია, გამონახეთ საუკეთესო კვალიფიკაციური ძალები, გაიღეთ მათთვის 100—500 მანეთამდე თვიური ჯილდო როგორც ეს ხდება რუსული სექტორის მიმართ, და თქვენ დაინახავთ, რომ ქართული სექცია გაცილებით მეტს მოიხვევს დამსწრე საზოგადოებას—ვინემ—რუსული.

თეატრის აუდიტორიისათვის დღეს ჩვენ არ გვყავს ცხობილი ძველი მუშაკები. მაგრამ თუ ქართული სექტორის მიმართ არ გამოვიჩენთ ისეთ გაუმართლებელ მომჭირნეობას, როგორც ეს დღემდე ხდებოდა, დღევანდელ პირობებში თამამად შეიძლებოდა ახალი ძალებით მუშაობის შედგომა. თუ კი საბჭოთა საწარმოო ორგანოებში შემოღებულია ეგრედ წოდებული მუშათა „ვიდვიჟენიე" —დაწინაურება, რატომაც არ შეიძლებოდა აღნიშნული წესებით ჩვენც გვესარგებლა, თეატრალურ მუშაკების წრიდან გამოგვენახა ახალი მუშათა ძალები, რომელთაც შეთვისებული აქვთ თეატრის ახალი სული, მისი თანამედროვე მიმართულება და რომლებიც მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული საბჭოთა წყობილებასთან?

ამ პირობებში არამც თუ დავკარგავდით ძველ ნაცნობ აუდიტორიას, არამედ მოვიზიდავდით მათ და მივაწვდიდით თანამედროვე მუშურ წარმოდგენებს.

აღძრული საკითხი მეტად მტკივნეულია და მოითხოვს მის დროულად და სისწორით გადაჭრას, სანამ ჯერ კიდევ დაგვრჩენია საკმაო დრო რეპერტუარის შედგენისა და დასის ჩამოყალიბების.

სასურველია და საჭიროც გამოსთქვან თავიანთი აზრი ყველა იმ პასუხისმგებელ ამხანაგებმა, რომლებზედაც დამოკიდებულია აღძრულ საკითხის სისწორით და მიუდგომლად გადაჭრა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო იმ სამართლიან გულისწყრომას, რომელსაც ადგილი აქვს მუშათა თეატრის ქართული სექტორის ყოფნა არყოფნის ზედით.

**ა. ვადაჭკორია.**

# მუშათა თეატრი

დასაშვებია, რომ მუშათა თეატრში მომავალ სეზონში, ქართული დასი არ მუშაობდეს? დასაშვებია. რომ იმ თეატრში, რომლის სცენაზე ოცდა თხუთმეტი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ქართული წარმოდგენების დადგმა, წელს შესწყდეს? და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება დასის შერჩევისა და მომზადების საქმეს.

ეხლა დასი უკვე შემდგარი უნდა იყვეს, რეჟისორიც მოწვეული, რეპერტუარიც გამორკვეული და სამზადისი სწარმოებდეს სეზონისთვის მაგრამ ჯერ კიდევ . სრულიად არაფერია გაკეთებული, არც ის არის, მგონი, გარკვეული მომავალ სეზონში ქართული სექტორი ეყოლება თუ არა მუშათა თეატრს. ყველას გვახსოვს თუ წარსული სეზონი ქართული დასისა, რამდენათ სუსტი იყო. არც შეიძლებოდა მეტის მოთხოვნა ისეთ დასისაგან, რომელიც ნოემბერში შეიკრიბა და დეკემბრიდან დაიწყო მუშაობა;

რასაკვირველია, სეზონი ამ შემთხვევაში სათანადო სიმაღლეზე ვერ იქნებოდა, მაგრამ, აქედან განა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ქართული დასი არ ვარგა, რომ ის ხალხს ვერ იზიდავს, რომ მას არ შეუძლია მუშათა აუდიტორიის დაკმაყოფილება და შერჩეული რეპერტუარის მოცემა?

არა, ეს შეცდომა იქნება. მუშათა თეატრში ქართული დასის მუშაობას 35 წლის ისტორია აქვს, მას მუშათა აუდიტორია ყოველთვის ყავდა და არც მოსცილდება. ამ თეატრმა აღზარდა მრავალი მუშა - მსახიობები. ამ თეატრმა აღზარდა ქართველი მუშები და დღეს, როდესაც მისი მუშაობის სარბიელი ასე გაშლილია საბჭოთა ხელისუფლების დროს, დაუშვებელია მისი ასეთ პირობებში დატოვება, ასეთი უყურადღებობა.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ზუბალაშვილმა ამ თეატრის ასაშენებლად მხოლოდ ფული გამოიღო, ხოლო ინიციატივა და მიზნის მიღწევა ამ თეატრისა, იმ მუშათა წრეს ეკუთვნოდა და ეკუთვნის, რომელიც ავჭალის აუდიტორიაში მუშაობდა;

ავჭალის აუდიტორიაში მომუშავეებმა ჩაუყარეს იდეური საძირკველი ამ თეატრს. მათი ენერგიული მუშაობით წინ მიდიოდა თეატრის საქმე. თვითმპყრობელობის დროს ის იყო ესტრადა არა მარტო ლეგალური კულტურული საქმიანობისა, არამედ პოლიტიკური ბრძოლის და მუშაობისაც.

ეს ყველას კარგათ ახსოვს, ამ საქმეს ხელმძღვანელობდენ საქართველოს დღევანდელი მესვეურები, ჩვენი სახელმწიფოს ეხლანდელი ხელმძღვანელები, მშრომელი ხალხის წინამძღოლები. ამიტომაც ასე გაბედულათ შეგვიძლია მოვთხოვოთ ჩვენ მათ, რომ მუშათა თეატრის ქართული სექტორის მუშაობა აყვანილ იქნას თავის სიმაღლეზე. გაეწიოს მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება. მუშათა მასებიც უსათუოდ გამოეხმაურებიან ამ საქმეს, გამოიჩენენ ძველ ინიციატივას, სურვილს და სიაქტივეს ქართული სექტორის მუშაობის ამაღლებაში.

ამ წერილის წერის დროს, როდესაც ვიხსენებ მუშათა თეატრის ისტორიას, მის ეხლანდელ მდგომარეობას, და წარსულ სეზონში მეტად მკრთალ და ზუსტ მუშაობას, ინსტიქტიურად ვიძახი: ნუ თუ ეს დასაშვებია? ნუ თუ მისატოვებელია მისდამი ასეთი უყურადღებობა? დიახ, არა და დროზე უნდა უშველოთ ამ საქმეს.

სოსო რომანიშვილი.

# ძირს ომი და მისი ავტორები

ჩვენ ვიცით, რომ 1914 წელში გამოცხადებულმა ომმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მის ალში გაეხვია, მთელი ევროპა და აქედან სხვა სახელმწიფოებსაც მისწვდა; აზიაში, ამერიკაში და აფრიკაში. ოთხი წელიწადი შეუწყვეტლივ იღვრებოდა სისხლის მდინარეები, დაიხოცა მილიონობით ახალგაზრდობა, განადგურდა კულტურა, ქალაქები და სოფლები; ერთი სიტყვით, ძნელია, იმის აღწერა, თუ რამდენი ზარალი, უსამართლობა და მწუხარება, მოუტანა საერთაშორისო ომმა კაცობრიობას. 1918 წელში საერთაშორისო ომი თუმცა დასრულდა ვერსალის ზავით, მარა ფაქტიურად ის კიდევ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში — ჩინეთში, აფრიკაში, სირიაში ეგვიპტეში. ბოლო ხანებში, როგორც ვამჩნევთ, ისევ წამოყო ევროპაში თავი ახალი ომის იდეამ. ინგლისის კონსერვატორული მთავრობა, რომელმაც საბჭოთა კავშირთან 26 მაისს გასწყვიტა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა, აშკარად ამზადებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, რისთვისაც ცდილობს შექმნას ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი, რომ ერთი დაკვრით მოსპოს ერთად - ერთი მშრომელთა კლასის სამფლობელო. ვინ დაზარალდება ომში? რა თქმა უნდა, პროლეტარიატი. ის იქნება მისი ობიექტი, — ობიექტი ფიზიკური განადგურების, ეკონომიური გალატაკების და პოლიტიკური დამორჩილების. რომელმა მეომარმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, ომის შედეგი ყოველ შემთხვევაში ერთი იქნება: მილიტარიზმის კიდევ უფრო გაძლიერება გამარჯვებულთა მხარეში, ხოლო დამარცხებულ ქვეყნებში სილატაკის, ჩაგვრის გაძლიერება და კულტურული შეფერხება. დღევანდელი ომი უფრო განმანადგურებელი იქნება ქვეყნიერების ვინემ 1914 წელში დაწყებული, რადგან ომი იწარმოებს როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერზე და ზღვაზე, წინანდელთან შედარებით ასწილათ გაუმჯობესებული ტეხნიკით, რაც სრულ განადგურებამდე, მიიყვანს ქვეყნიერებას და კაცობრიობას. ამიტომ, ყველა ქვეყნის მუშათა კლასმა აქედანვე უნდა აიმაღლოს ხმა ომის წინააღმდეგ: მოაწყონ დემონსტრაციები მის წინააღმდეგ, წამოაყენონ ლოზუნგი კლასთა ბრძოლის და ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევის შესახებ, საბჭოთა კავშირის დაცვის შესახებ და ამით შეუქმნან იმპერიალისტებს დაბრკოლებანი ახალი ხოცვა - ჟლეტის გაჩაღების წინააღმდეგ. ვინც ამ შემთხვევაში იქნება ომის დამცველი (როგორც ამას სჩადის ქართველი ემიგრაცია), ის იმპერიალისტების მხარეზეა, მტერია საერთაშორისო რევოლიუციის და მშრომელი ხალხის.

**მაშ გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიან ფრონტს იმპერიალისტების და მუშათა კლასის სხვა მტრების წინააღმდეგ.**

**ძირს ომი და მისი სულისჩამდგმელი!**

ა—რე ნ. დოლიძე.

# სვანეთში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებანი

სვანეთს განსაკუთრებული ისტორია და ტრადიცები აქვს ქართველის ერის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენში ფეოდალური წყობილება იყო და ბატონ-ყმობის საშინელი უღლის ქვეშ გმინავდა ქართველი გლეხკაცობა, ეს კულტულურად ჩამორჩენილი ქვეყანა— სვანეთი დამოუკიდებლად აწარმოებდა ბრძოლას ამ სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ, წოდებით გაბატონებული გელოვან-გარდაფხაძეების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, ბევრჯერ დამთავრებულა გლეხების გამარჯვებით, ამას ადასტურებს თავისუფალი სვანეთის არსებობა საქართველოში ფეოდალიზმის ეპოქაში.

რევოლიუციას დიდი ასპარეზი უნდა გაეხსნა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება-განვითარებისათვის, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლების დროს ეს იმედები ვერ გამართლდა, მასზე არავინ ზრუნავდა, მათ არავინ არ ეხმარებოდა და სრულიად უპატრონოდ იყო მიტოვებული. ხელისუფლების ასეთი ქცევა, რა თქმა უნდა, სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა სვანებში ხელისუფლების მიმართ და განზე იყვნენ გამდგარი, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ საერთო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, და თუ სჩანდა მათი სახე, ეს იყო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული..

საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მათი ტკივილების გაგება და დ[illegible]ება. ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სვანეთს, განსაკუთრებულ დახმარებას უწევს მათ მატერიალური და ხელმძღვანელობის მხრივ, რომ ეკონომიურად და კულტულურად ამ ზომად ჩამორჩენილი ხალხი გაუთანასწოროს საქართველოს სხვა კუთხეებს, მაგრამ მაინც ძნელია ისტორიულად ჩამორჩენილ ხალხის ასე მოკლე დროში ასეთი წინ წაწევა.

სვანეთი ბუნებით მეტად მდიდარი ქვეყანაა. იქ ყველაფერია ბუნებისაგან მოცემული ადამიანის კეთილდღეობის შესაქმნელად, მაგრამ უკულტურობით და ტეხნიკური ჩამორჩენილობით, საქართველოს არც ერთი კუთხე არ განიცდის ისეთ გაჭირვებას და სიღარიბეს, როგორც სვანეთი, რადგან ვერ ახერხებენ ამ ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებას და მოხმარას.

ამ შემთხვევაში ჩვენი პრეტენზია არ შეიცავს დიდ ეკონომიური და სამრეწველო ამოცანების გადაწყვეტას, მაგრამ შესაძლებელია და სასარგებლო, რომ გამოყენებული იქნეს ისეთი პრიმიტიული საშუალებები მაინც.

მაგალითისათვის ავიღოთ, თუ გინდ, მათი საცხოვრებელი ბინები. სვანის სახლის ტიპი წარმოადგენს ორ სართულიან ქვითკირის შენობას, რომელსაც არ აქვს არც ერთი ფანჯარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თოფის გასასროლად დატოვებულ სარკმელებს, ე. წ. „სათოფურებს“. ამგვარდა, ის სრულიად ბნელი, უჰაერო და ბოლით გაჭვარტლული. ზამთრობით ხომ კიდევ უარეს პირობებშია, რადგან ქვედა სართულში ცხოვრობს საქონელთან

ერთად, ენით აუწერელ და წარმოუდგენელ სიბინძურეში. ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, რომ სვანი არ არის ჯანმრთელი და საღი. ამ მშვენიერ ლამაზ ბუნებაში, მათი უვიცობის წყალობით, ეს ხალხი დასნეულებულია და ხელოვნურად იმოკლებენ სიცოცხლეს, ჰკარგავენ ჯანმრთელობას.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა გზების მხრივ. გზები, როგორც ვიცით, სვანეთში სრულიადაც არ არის. გზების გაყვანის ირგვლივ ეხლა დიდი კამპანიები ტარდება იქ. მე მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი სამს ასეთ კრებას, სადაც მოსულიყო ხალხი, ქალებიც კი, 25-30 ვერსით დაშორებული სოფლებიდან. მოხსენებას აკეთებდა ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაღრაძე ხალხი დიდის ალტაცებით შეხვდა მომხსენებელს და აცხადებდენ, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან ხუთი დღის სავალდებულო ბეგარით და ფიცს სდებენ, რომ თუ მთავრობა დაეხმარება ინიციატივით დ[illegible]აგების საქმეში, იმუშავებენ მანამდე, სანამ არ [illegible] გზის გაყვანა დასრულებული. კამათში მონაწილეობას ღებულობდენ ქალებიც, რაც სვანეთში, ძველი ტრადიციით, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელი იყო. ვინმე ბენდელიანის ქალმა ყველა ქალების სახელით განაცხადა: „ჩვენ არ შეუშვებთ ჩვენს ქმრებს და შვილებს სახლში მანამდე, სანამ არ დასრულდება გზის გაყვანა, მათ საქმეს ჩვენ შევასრულებთ და არ ვაგრძნობინებთ ოჯახს მათ არ ყოფნასო“.

აუცილებელია, რომ მათ ასეთ გამოხმაურებას და შეგნებულ შეხვედრას ამ მეტად საჭირბოროტო საქმეზე, რეალური ხელმძღვანელობა და დახმარება დროზე მიაწოდოს ხელისუფლებამ.

სვანეთის უხვი ბუნებრივი სიმდიდრენი, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოკვლეული და შესწავლილი. ჯერ კიდევ არ ვიცით ჩვენ, თუ რამდენი რამეს მოცემა შეუძლია ამ კუთხეს, რისთვისაც ღირს, რომ სვანეთი შემდეგშიაც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ დავაყენოთ, განსაკუთრებული ხარჯებიც გავსწიოთ რესპუბლიკანური ფონდიდან, ამ ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად დასაახლოვებლად. მარტო მინერალური წყლები, რომლებიც თავისი ქიმიური შემადგენლობით გაცილებით უკეთესია და სასარგებლო ვინემ ბორჯომის და ნარზანის, და აგარაკებით დიდათ მნიშვნელოვანი იქნება არა თუ საქართველოსათვის, არამედ მთელი კავშირისათვის.

ისტორიულად ყურადღების გარეშე დატოვებული სვანეთი, კულტურულად ჩამორჩენილი და ეკონომიურად აუწერელ სილატაკეში მყოფი მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი სვანები, დღეს, საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოელიან შველას და დახმარებას, წინსვლას, განვითარებას, და ხელისუფლებამ და ყველა შეგნებულმა მოქალაქემ უნდა გაუწიოს მათ დახმარება რითაც და რამდენადაც კი იქნება ეს შესაძლებელი. მათი ეხლანდელი გამოფხიზლება და მონდომება ყველამ უნდა იგრძნოს და გაუმართლოთ ჩვენზე დამყარებული დიდი იმედები.

**ლავრენტი კუპრაშვილი..**

# ყოფილ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ხმა

ჩვენ, ქალაქ ქუთაისისა და მისი მაზრის ყოფილი მენშევიკები, რომლებიც 1924 წლის აგვისტოს ავანტიურამდე მთელის ჩვენის შეგნებით ვემსახურებოდით ს.-დ. პარტიის მიზნებს და ამ ავანტიურის შემდეგ ვარჩიეთ პოლიტიკის გარეშე დგომა, ესე იგი არ თანაუგრძნობთ ქართველ ემიგრაციის ლიდერების ქართველ ხალხისათვის დამღუპველ პოლიტიკურ ნაბიჯებს, მაგრამ არც კომუნისტურ ხელისუფლებისაკენ ვდგამდი გადაწყვეტილ ნაბიჯებს, დღეს, ჟორდანია-რამიშვილის ახალი ავანტიურის სამზადისის გაძლიერების შემდეგ, იძულებული ვართ ხმა ამოვიღოთ და ერთხელ და სამუდამოთ განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენმა დაკვირვებამ სრულიად შეგნებულად მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი ხელისუფლებაა, რომელსაც შეუძლია ქართველი ხალხის სუვერენობის დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შექმნა, მისი კულტურის აღორძინება.

ყოველი ამის უტყუარი საბუთები დღეს ყველასათვის აშკარაა. ის უმაგალითო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რომელსაც აწარმოებს ამ ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება ზემოთ თქმულის უტყუარი საბუთია. ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ თუ ეკონომიური საფუძველი არ არსებობს, ყოვლად წარმოუდგენელია როგორც კერძო ოჯახის, ისე მთელი სახელმწიფოს არსებობა. ასეთ სახელმწიფომ, რაც უნდა ბევრიც ეცადოს, ათასი კანონებიც რომ გამოსცეს, ათასჯერ რომ გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა და ნეიტრალური სახელმწიფოებრივი არსებობა, ის მაინც დამოკიდებული იქნება, ნეიტრალობის ნაცვლად ის მაინც ძლიერი სახელმწიფოების ხელში ბრმა იარაღი იქნება და მეტი არაფერი. ჩვენ ეს ჩვენი საკუთარი თვალებით დავინახეთ,ჩვენ ეს ჩვენი საკუთარი დემოკრატიული, „დამოუკიდებელი“ და „ნეიტრალური“ რესპუბლიკის არსებობის დროს დავინახეთ.

1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოვაცხადეთ დამოუკიდებელ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ, მაგრამ რაკი ამისთვის ჩვენ არც ეკონომიური საფუძვლები და არც პოლიტიკური სიძლიერე არ გამოგვადგა, ცხადია ძლიერ სახელმწიფოების ნება-სურვილზე უნდა მიგვემართა ჩვენი სახელმწიფო ნავის გეზი და ჩვენც ასე ვიქცეოდით. და თუ ჩვენ მანამდე თეორეტიულად ვიცოდით სახელმწიფოს არსებობისათვის ეკონომიური საფუძვლების აუცილებლობა, ახლა ამ მწარე გამოცდილების შემდეგ, ჩვენ პრაქტიკულად შევითვისეთ ეს აშკარა ჭეშმარიტება...

და დღეს სწორეთ ამიტომ ვამბობთ, რომ რაც უნდა მოხდეს რა გზითაც უნდა წავიდეს მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ბედი, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უმაგალითო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მეოხებით, აქვს და ექნება თავისი ნამდვილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ურყევი საფუძვლები. ეს არის მისი უკვე ცხადქმნილი ოცნება, რომელსაც ელექტროფიკაცია ეწოდება, ეს არის მისი ინდუსტრიალიზაცია, რომელიც დღითი დღე ძლიერდება, მაგრდება და რომელიც მალე სულ მალე საშუალებას მისცემს საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად იცხოვროს თავისი საკუთარი დოვლათით, შეძლებას მისცემს ქართველ ხალხს თავისი საკუთარი ხელით დაამუშაოს თავისი საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრე და ეპატრონოს თავის საკუთარ თავს სხვის დაუხმარებლად, სხვის დაუყვედრებლად, სხვისი გულის დაუმადლებლად... ამ გზით მიდის დღეს საბჭოთა საქართველო. ამ გზაზე მას უდიდესი მიღწევები აქვს, რაც ჩვენს პრესაში ბევრჯერ იყო აღნიშნული და ჩვენ აქ მის განმეორებას არ შეუდგებით.

ასთია დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

რა მდგომარეობაშია ის პოლიტიკურად?

ამის პასუხი მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შეგვიძლია მოვსჭრათ.

**დღეს საბჭოთა საქართველო არის სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა დიდი კავშირისა.**

ამას ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. თუ გუშინ ვითომ დამოუკიდებელი და ვითომ სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლების ხელში სულს ღაფავდა, თუ მას გუშინ არავინ ანგარიშს არ უწევდა, დღეს მას ვერავინ ვერ გაუბედავს ხელის შეხებას, დღეს მას ანგარიშს უწევენ.

რატომ? იმიტომ, რომ დღეს ის უწინდებურად უძლური არ არის. იმიტომ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს მას გარეშე ძალის თავდასხმისაგან. იმიტომ, რომ დღეს საქართველოს მტერი და ორგული

იმავე დროს მტერია საბჭოთა კავშირში ყველა შემავალი რესპუბლიკებისა და ეს უკანასკნელები საერთო ძალით გასცემენ მას პასუხს.

საქართველოს რესპუბლიკისათვის იმდენად დიდ მნიშვნელოვანია მისი საბჭოთა კავშირში ყოფნა, რომ მასზე ლაპარაკი იმას ემსგავსებოდა, რომ გვემტკიცებია დღე-დღე არის და ღამე ღამეო.,,

ჩვენ, ამის ქვემორე ხლისმომწრლები, გამოვიდავრით რა ზემოთ დასახელებულ დებულებებიდან,საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ თავისი მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე უდიდესი დამნაშავეა ის ადამიანი, ის კერძო პიროვნება თუ საზოგადოებრივი ჯგუფი; რომელიც ერთხელ და სამუდამოთ არ დაგმობს ჟორდანია-რამიშვილების ავანტიურისტულსა და ქართველი ხალხის დამღუპველ გზას და იარაღით ხელში არ ამოუდგება თავის საბჭოთა ხელისუფლებას საბჭოთა საქართველოს დასაცავად.

## ხელის მომწერთა სია

პორფილე სპირდონისძე ნიქობაძე, ვასილ ნიკოსძე ნიქობაძე, დავით ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, გიგო კილაძე, კოსტა ფახაკაძე, ნ. გოდუაძე, ალექსი კიკვაძე, სილოვან სიმონისძე ხელაძე, გიორგი თადეოზისძე კაპანაძე, ვლადიმერ ფარსადანისძე ხურციძე, სიმონ პარმენისძე ხურციძე, ესტრაფი დარისპანისძე ხურციძე, ვლადიმერ კოსტანტინესძე ხურციძე, იასონ ალექსისძე დვალიშვილი, ელეფთერ მათესძე ბალაძე, სიმონ ჯღარკავა, ნიკიფორე თომასძე წულაია, ვასილ სტეფანესძე ბარაბაძე, გედევან დავითისძე მესხი, იონა ნიკოსძე ყვინჩია, გრიგოლ ესტატსძე უგულავა, კოლია ივანესძე ძიძიბარია, სიმონ პეტრესძე ბარაბაძე, ევგენ პორფილესძე დოჭვირი, ჭიჭიკო ბეგოსძე ჯღუნა, გერასიმე პავლესძე ბარაბაძე, ილარიონ პეტრესძე ბარაბაძე, სევერიანე ნიკოსძ ლაჭავა, იასონ ოქროპირისძე ბარაბაძე, ისიდორე თევდორესძე ეძგვერაძე, ალექსანდრე პავლესძე უგულავა, რაჟდნ ანდრიასძე ნებიერიძე, პავლე პეტრესძე ბარაბაძე, ნიკოლოზ იოსებისძ ფრიდონიძე, გრიგოლ ოქროპირისძე შავლაძე, ივანე მიხეილისძე ბარაბაძე, ვალიკო სილიბისტროსძე უგულავა, ტრიფონ ნესტორისძე წივწივაძე. კოლია პავლესძე კაკაურიძე, კოსტა ბიჭიასძე უგულავა, [illegible] ექვთიმესძე სვანიძე, სანდრო ნიკოსძე რუხაძე სარდიონ სალისძე რუხაძე, ალექსანდრე რუხაძე, გიორგი ბიჭიასძე უგულავა, იასონ ივანსძე ჯალალანია, ირაკლი გიგოსძე რუხაძე, რაჟდენ პავლესძე კინწურაშვილი, გიორგი ვასილისძე ბაქრაძე, რაჟდენ პოლიასძე რატიანი, ფილიპე კიკალიშვილი, კოლა პეტრესძე გაწერელია,ირაკლი ლევანის ძე რუხაძე,სიმონ დიმიტრის ძე აბზიანიძე, მიხაკო პეტრეს თვალაძე, სილოვან პავლესძე რუხაძე, გერასიმე ტარიელისძე რუხაძე, ვასილ მათესძე აბზიანიძე, ანთიმოზ გიორგისძე მელქაძე, კოლია ეფრემისძე მოსიძე, ემელიან პავლეს ძე აბრამიძე, ივანე ვლადიმერის ძე ნაფეტვარიძე. ვარლამ ტარიელის ძე კაშია, კოკოცა მეძმარიაშვილი, ვლადიმერ ეპიფანეს ძე ნაცვლიშვილი, ისაია ლევანის ძე ჩხეიძე, მიხაკო იულონს ძე ჭოლაძე, შერბახტინ რომანოზის ძე ჩიქოვანი, რაჟდენ ჩიქოვანი, გალაქტიონ ტარიელეისძე ჟორჟოლიანი, აბატე გვერნაძე, სიმონ გერმანესძე ლიბრაძე, მიხეილ ლოენტისძე გძელიძე, ლონგინოზ ყანჩაველი, რაჟდენ სიმონის ძე მორბელიძე, სილოვან ფურცელაძე, არტმ ალფესიძე გძელიძე, ვლადიმერ დგებუაძე, ერემია ამირანის ძე გძელიძე, იუსტინე კოსტანტინესძე გძელიძე, ალექსანდრე გიგოსძე გურგენაძე, კალისტატე ანდრიაძე სინაურიძე, დავით ვასილისძე ხახალეიშვილი, სევერიანე ონისიმესძე ხომაშურიძე, ილიკო ექვთიმეს ძე ჭეიშვილი, ლუკა ალექსანდრეს ძე კაკუშაძე, ვასილ ბესარიონისძე ზუბაშვილი, მელენტი ანდრიასძე გაბრიაძე, ილარიონ მოსეს ძე ბასეგი, ლეონტი თომას ძე გასტეფანესძე ქარქაშაძე, ლეონტი მიხეილისძე ქარქაშაძე, ისიდროე დიმიტრისძე შუბაშვილი, ივანე ანტონისძე გაბირაძე, ილარიონ მოსესძე ბასეძი, ლენოტი თომასძე ცირეკიძე, ირაკლი ივანესძე მგელაძე, პორფილე გიორგგაძე, იასონ კვიცერიძე, ვარლამ ჯიმშელაშვილი, თომა ჯანელიძე. ნ. ხაჭაპურიძე, ალექსანდრე სიმსივე აკაკი ალხაზაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, მოსე ჯანილიძე, ჭიჭიკო ჯანელიძე, ეროდი ჯანელიძე, შალვა ჯიშკარიანი, იოველ ჯანგავაძე, ნესტორ ჯანელიძე, ალექსანდრე ბესარიონისძე ჯანელიძე, ონისიმე მინასძე სულაქველიძე, ნოე უშვერიძე, თალიკო ვარლამის ასული ასათიანასა, ა. ლორთქიფანიძე,ევგენ ავალაიანისა, სამსონ იობიძე, ივანე ბართლომეს ძე უშვერიძე, გიორგი ასათიანი, ნიკოლოზ ილარიონისძე ახალაძე, გრიგოლ ბარათაშვილი, ნოე ბესარიონისძე ჯიშკარიანი, გიორგი თემურაზისძე ენუქიძე, მიხეილ ოტიასძე რუხაძე, ნესტორ ანტონისძე ხელაძე, იაშა ოლიფანტესძე ხურციძე, კონსტანტინე პეტრესძე გეგენავა, რაჟდენ იაკობისძე გორგაძე, კალისტრატე კოსტანტინესძე ჯანელიძე, დომენტი ლუკასძე ხუბულავა, კოლია მოსესძე გიორგაძე, სერგო ისიდორეს ხურციძე, ან. ქრისტეფორესძე ბაჯაძე, კალისტატე ქრისტეფორესძე ბიბიაძე, გიორგი მამუკას ძე ხურციძე, სერგო დარისპანის ძე ჩუბინიძე, ილია ალექსისძე გიორგაძე, ნესტორ სამსონისძე ხურციძე, სპირდონ ეგნატესძე ვაშაყმაძე, გიორგი კოსტანტინეს ძე ვაშაყმაძე, ლავრენტი ალფესის ძე გიორგაძე, კირილე თადეოზისძე ჯანელიძე, ეზეკი ივლიანესძე ვაშაყმაძე, ისაკი გერმანეს ძე ხელაძე, ერემია გერასიმეს ძე გიორგაძე, გიორგი პავლსძე ჭურაძე, ნესტორ პეტრესძე გეგენავა, ბიკტორ ლუარსაბისძე გიორგაძე, პარმენ თედორესძე ბაჯაძე, ნიკიფორე ბაჯაძე, ვლადიმერ პორფილესძე ბარდაველიძე, კოწია ოქროპირისძე ოსაძე, ნიკოლოზ როსტომისძე ოსაძე, ტერენტი აფრასიონისძე მდინარაძე, ვარლამ ტარასისძე კვინიკაძე, ბაგრატ გერასიმესძე კვინიკაძე, ერმილე პავლესძე სხვანიძე, ერმილე მარკოზისძე რუხაძე, დომენტი პავლესძე სვანიძე, ევგენი გ. კეთილაძე, ერასტი კაციასძე ტყაბლაძე, დიმიტრი კაციასძე ტყაბლაძე, ფილიპე სიმონისძე ქუთათელაძე, გიორგი ივანესძე ბიკოვი, ტრიფონ სარდიონისძე გიორგაძე, კონსტანტინე მანუჩარისძე ნატროშვილი, ილია სპირდონისძე დემეტრაძე, ეზეკი თეოფილეს ძე დემეტრაძე, ალექსანდრე თემურაზის ძე გიორგაძე, ტრიფონ გიორგაძე, ეზეკი დემეტრაძე, ილია დემეტრაძე, ალექსანდრე გიორგაძე, კონსტანტინე ნატრაძე, ერმილე ნატრაძე, დავით სერაფიონისძე ჭირაქაძე, კოსტან.ევგენისძე ნიშნიანიძე,გერვასი გიორგისძე ჭუმბურიძე დავით გრიგოლის ძე შავიანიძე, ბაგრატ გრიგოლის ძე გვეტაძე, ვასილი გრიგოლის ძე გვეტაძე, პარმენ ვასილის ძე ხუჯაძე, მელიტონ ბასილის ძე ბასილაძე, კირილე მოსეს ძე ჭარხალაშვილი, პორფილე კიმოთეს ძე ჩილაჩავა, ბიკტორ კოსტას ძე გეგუჩაძე, მოსე პეტრეს ძე გეგუჩაძე, სევერიანე ამბაკოს ძე სვანიძე, გაბრიელ ბესარიონის ძე აბზიანიძე, სიმონ ნიკოს ძე კვერნაძე, რაჟდენ ბესარიონის ძე ადამაძე, ივანე ილერიონის ძე გიორგაძე, სერეფიონ ალექსის ძე გორდელაძე, გერასიმე პავლეს ძე ვაჭარაძე, სერგო სამსონის ძე ვაჭარაძე, ალქსანდრა ვასილის ასული ირემაძე, ალექსანდრე მელიტონის ძე ვაჭარაძე, ივანე ნესტორის ძე შავლაყაძე, მაქსიმე გიორგის ძე კაკაბაძე, ლუკა რატიანი, ილიკო ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე, სერგო ბიქტორის ძე ჭავჭანიძე, მიხაკო ალექსანდრეს ძე შველიძე, მიტროფანე მაჭარაძე, კოლია სიმონის ძე წივწივაძე, ოლიმპიადა (ფაცია) ივანეს ასული ჩხიკვიშვილი, კოლია ზურაბის ძე წივწივაძე, მაშიკო ლუკას ასული ხაინდრავა, ნინა ზურაბის ასული ქუთათელაძე, ლუბა პეტრეს ასული სანაძე, ოლია გიორგის ასულიტაბიძე, ნინა ნიკოლოზის ასული ჩიქოვანისა, დავით პავლეს ძე ხობუა, მიხაკო მიქელის ძე მებუკე, ანტონ ივანეს ძე კებჯერაძე, ილიკო გაბრიელის ძე ტაბიძე, კალისტრატე სტეფანეს ძე წოწონავა, სევერიან გიორგის ძე ქუთათელაძე, პავლე თედორეს ძე ხაინდრავა, ნადეჟდა გიორგის ასული გალდავაძისა, მელიტონ სოლომონის ძე ჩხენკელი, საბა ნესტორის ძე ქუთათელაძე, სევერიანე დ. ლაითაძე, ნოე ნიკოს ძე გეგია, ირაკლი პეტრეს ძე კინწურიშვილი, აკაკი დავითის ძე ხობუა, კალისტრატე ბესარიონის ძე შამათავა, კატუშა ბესარიონის ასული შამათავა, გიორგი მიხეილის ძე წივწივაძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე ხობუა, სოლომონ იმნაძე, გიროგი პავლეს ძე ჭანტურია, ვარლამ თედორეს ძე გორგაძე, ვასილ გედეონის ძე დოგრაშვილი, კა-

სიანე გრიგორის ძე კავლიშვილი, პავლე ილარიონის ძე გორგაძე, ნიკოლოზ კიკნაველიძე, გრიგოლ დარისპანის ძე გორგაძე, სერგო ყაისარის ძე გორგაძე, ვარლამ ალექსანდრეს ძე კორძაძე, გიორგი პავლეს ძე ყუბანიშვილი, ლუარსაბ გიორგის ძე გოგიბერიძე, დავით იუსტინეს ძე მომფორია, ვალენტი ესტატეს ძე კოპალეიშვილი, ესტატე პავლეს ძე კოპალეიშვილი, მიხეილ სტეფანეს ძე გეგეშიძე, კოლია არსენის ძე წიქვაძე, ვალერიან მიხეილის ძე კორძაძე, სამსონ ნიკიფორეს ძე სულაქველიძე, პარმენ პორფილეს ძე ინასარიძე, სამსონ კალისტრატეს ძე კობიძე, ივანე სიმონის ძე ფონიაძე, დარისპან ათანასეს ძე შენგელია, ირაკლი ილიას ძე მილორავა, კოწია ანდრიას ძე კეკელიძე, ლეონტი გიორგის ძე გოგოძე, გერმანე არსენის ძე ნაფეტვარიძე, დავით დიმიტრის ძე მაგნიძე, პორფილე კოსტას ძე მელაშვილი, მირონ გრიგორის ძე სულაბერიძე, იოსებ სპირდონის ძე გიორგაძე, ბენიამინ ილიას ძე მილორავა, ევგენი ლვიანიანისძე, იორდანე მელიტონის ძე შენგელია, ვარლამ ნაფეტვარიძე, ბიკტორ ქრისტეფორეს ძე ფარცხალაძე, ვარლამ ვლადიმერის ძე ნაფეტვარიძე, ალექსანდრე მინიაშვილი, ივანე თომას ძე ჟორჟოლიანი, გალაქტიონ ილარიონის ძე მელაშვილი, ანთიმოზ რამიშვილი, ერემა მიხეილის ძე ჩილაჩიძე, კირილე პორფირეს ძე სულაბერიძე, სამსონ თედორეს ძე კაცაძე, დომენტ ამბაკოს ძე ქოქელია, ესტატე გაბრიელის ძე კოპალეიშვილი, ლევანტი გიორგის ძე ხელაძე, ქრისტიფორე ივანეს ძე სულაბერიძე, გერმანე ექვთიმეს ძე კერელეიშვილი, მლ. გაგნიძე, ალექსანდრე ტაბიძე, ამბერკი სულაბერიძე, შალვა სიმიტოს ძე სანიკიძე, თეოფილე ესტატის ძე ანდრიაძე. სევერიანე ფარნაოზის ძე სტურუა, ვლადიმერ ივლიანეს ძე შარაშენიძე, გერმანე სიმონის ძე მინიაშვილი, აკაკი ბესარიონის ძე შარაშენიძე, ევგენი კონსტანტინეს ძე გოგოძე, ბესარიონ გიორგ ძე სირბილაძე, ალექსი ონისიმეს ძე სანიკიძე, სიმონ კონსტანტინეს ძე კალაძე, ბიჭია თომას ძე გეგენეიშვილი, გედეონ ივანეს არველაძე, დომენტი ზაალის ძე მინაშვილი, პავლე ივლიანეს ძე ბალდავაძე. დავით მაქსიმეს ძე არველაძე, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ...ბერიძე, ვალერიან არსენის ძე ნაფეტვარიძე, მელქისადეგ გიორგის ძე ლვინიანიძე, ვლადიმერ მიხეილის ძე ნარსია, ლუკა ონისიმეს ძე ყუბანეიშვილი, ალექსანდრე ფილიპეს ძე ბურკაძე, ალექსანდრე ესტატეს ძე სანკიძე, ივანე სამსონის ძე სანიკიძე, იოსებ პეტრეს ძე ჩხაიძე, ისიდორე სამსონის ძე რაბინაშვილი, სერაფიონ ექვთიმესძე ნამორაძე, პარმენ წიქორიძე, მაქსიმე კუხიანიძე, სერაფიონ იოსების ძე შენგელია, იონა ჯანელიძე, კოწია ჯანელიძე, გაიოზ ბესარიონის ძე მარგველაიშვილი, პარმენ ზურაბის ძე გერსამია, ალექსანდრე გიო...ის ძე ტყეშელაშვილი, რაჟდენ პორფირეს ძე ტყეშელ...ილი, ერასტი დავითის ძე ჯავახაძე, სევერიანე ონისიმეს ძე კოსტავა, ფილიპე გარსევანის ძე ფხაკაძე, ალექსანდრე გიორგის ძე გელანდოვი, სავლე ტრიფონის ძე გორგაძე, გ. მერაბის ძე კახაძე, პავლე ირაკლის ძე ჟორჟოლიანი, ბარნაბ სამსონის ძე ქოჩიაშვილი, ვანო მერაბის ძე კახაძე, პავლე მაქსიმეს ძე დარახველიძე, გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქვინიძე, მაქსიმე გერმანეს ძე ჭრელაშვილი, ნაუმ ბესარიონის ძე კარანაძე, მიხაკო მოსეს ძე ნატრიაშვილი, თედორე ნიკოლოზის ძე ჭულუხაძე, გრიგოლ იულოს ძე თო...იოლაძე. მიტროფანე გოგოლაშვილი.

# გორის ინტელიგენციის დეკლარაცია

მრავალი ხნის მონობის და ტანჯვა-ვაების შემდეგ, მშრომელმა ხალხმა თავ-განწირული ბრძოლით დაამსხვრია თვითმპყრობელობის ბორკილები და აუარებელი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა სანეტარო თავისუფლება; ამის შემდეგ, იგი შეუდგა თავისი საკუთარი ძალ-ღონით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შემოქმედებით და აღმშენებლობით მუშაობას და მოკლე ხანში მიაღწია დიდ შედეგებს. საბჭოთა კავშირი გაორკეცებული ენერგიით და სისწრაფით ცდილობსააშენოს ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველანი თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი იქნებიან, სადაც არ იქნება მჩაგვრელი და ჩაგრული, სადაც ყველას ექნება უფლება თავისუფალი, სადაც მოისპობა ერთა შორის შუღლი და მტრობა. ჩვენ უკვე მოწამენი ვართ კავშირის ყველა ერების ძმური თანამშრომლობისა, მშვიდობიანი ცხოვრებისა;; ჩვენ მოწამენი ვართ ერთა კულტურული და ნივთიერი განვითარებისა.

ეს განვითარება უფრო თვალსაჩინო, უფრო სწრაფი იქნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობას ხელს არ უშლიდენ შინაური და გარეშე მტრები.

ვინც აკვირდება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, ვისაც აქვს თვალნი ხედვათ და ყურნი სმენად, ვინც არ არის შეპყრობილი უგუნურებით და გამოუსწორებელი ბოროტებით, განა იტყვის, რომ ეს ასე არ არისო?

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი აბოროტებს კაპიტალისტურ ქვეყნებს, არ აძლევს მათ მოსვენებას, რადგან ყოველი გამარჯვება საბჭოთა კავშირისა იმავე დროს მათი დამარცხებაც არის.

ამიტომაც ეს ქვეყნები ლესავენ ხმალს და მთელი რიგი პროვოკაციული მოქმედებით ცდილობენ ომის გამოწვევას. ქვეყნიერებას ჯერაც არ გამთელებია მსოფლიო ომით მიერ მიყენებული წყლულები, და კაპიტალისტურ ევროპას სურს დაიწყოს ახალი, უფრო საშინელი, უფრო გამანადგურებელი ომი, და თუ ეს უბედურება მოხდა. უნდა მრავალი წლებით დაეცეს და შეჩერდეს კაცობრიობის კულტურულ-ეკონომიური განვითარება, უნდა ქვეყნათ გამრავლდეს ტანჯვა და ვაება, სილატაკე, უმეცრება, ათასნაირი სენი, სიკვდილი. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ თავიდან აიშოროს ომი, მისი გამანადგურებელი შედეგებით.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულების დროს, თავი წამოჰყო და ახმაურდა ქართული ემიგრაციაც მენშევიკების ხელმძღვანელობით. ქართული ერის მესაფლავენი, 1924 წლის ავანტიურის შემდეგ, კიდევ ბედავენ ახალი ავანტიურის მოწყობას. მაგრამ ხალხი უკვე გამოფხიზლებულია, ხალხმა უკვე იცნო მტერი და მოყვარე და სამართლიანის მრისხანებით და გულის წყრომით ეუბნება მენშევიკურ ემიგრაციას: „შორს ჩვენგან შფოთისა და სიკვდილის მოციქულნო, დაგვანებეთ თავი, მოგვასვენეთ, ჩვენ გვსურს მშვიდობიანი ცხოვრება, მშვიდობიანი შრომა, ჩვენ გვინდა კულტურული და ეკონომიური განვითარება და ყველა ამის შესაძლებლობას გვაძლევს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება“

ჩვენ, გორის ექიმები, ხალხთან და დანარჩენ ინტელიგენციასთან ერთად, ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს ომის და მენშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ და მოუწოდებთ საზოგადოებას, რომ ფრთხილად იყვეს და არ წამოეგოს პროვოკაციის ანკესზედ. მაგრამ თუ მოხდა უბედურება და დაიწყო ომი, ჩვენ ყველანი მტკიცედ და პირნათლად შევასრულებთ საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას.

მაშ, ზიზლი ომს და მენშევიკების ავანტიურას.

გაუმარჯოს მშვიდობიან კულტურულ მუშაობას, გაუმარჯოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის მზრუნველს და მშვიდობიანობის დამცველს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას!

გორის მაზრის ექიმები და, მასწავლებლები: **გვერდწითელი, ელიოზიშვილი, მ. ინასარიძე, შანიძე, მანდენოვი, დ. ვაშაკიძე, გოგიტიძე, კოსტავა, გოგაძე, შარვაძე, მაჭარაშვილი, მთვარელიძე, გრადნევი, იუზბაშევი, მ. მირზაშვილი, მაყაშვილი და დონჯაშვილი.**

# მოფიქრებული ნაბიჯი

(რკ გზ. სკოლების კონფერენცია—კურსების გამო)

ჩვენი სკოლა გაჯანსაღება-აღორძინების გზით მიდის. ზრდა და განვითარება მისი თვალსაჩინოა. ზიგზაგები, გაუგებრობა, გაურკვევლობა, შორს დატოვა. სწორი, მარქსისტული გზა მისი გაკვლეულ-გარკვეულია.

მაგრამ თუ ასე დიდია ჩვენი მიღწევები თეორიაში, ასევე წინ წასული კიდევ არ ვართ სასკოლო საქმიანობის პრაქტიკაში.

ამის მიზეზი მრავალია. სკოლის პრაქტიკულ მუშაობის განვითარებას და აწევას სელს უშლის შენობის უქონლობა, მოუწყობელობა აუცილებელი სასწავლო ინვენტარით: დგამით, იარაღებით და სხვა. ვერ ხერხდება საამდროვო პედაგოგიური თვალსაზრისით ლაბორატორია—კაბინეთების მოწყობა. მეტად გაძნელებულია უსაჭიროესი და აუცილებელი ექსკურსიების მოწყობაც. მოწაფე იმდენად დატვირთულია, რომ ის ვერ ახერხებს დავალებათა 50 პროც. შესრულებასაც კი. მასწავლებელმა, რომ მიაღწიოს წარმატების მინიმუმს, მან უნდა დახარჯოს ენერგიის მაქსიმუმი.

ამ პირობებში, სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საერთო დონე სწავლა-განათლების საქმეში დაწეულია.

ცხადია, რომ სკოლის ბედ-ბედი სავსებით დამოკიდებულია ჩვენივე ქვეყნის წარმოების ზრდისაგან. ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე, მატერიალური საშუალებები შექმნის უკეთეს პირობებს და მეტ შესაძლებლობას. ამ მხრივ ჩვენი წინსვლა ემჩნევა სკოლაშიც, სწავლა-განათლების საქმესაც.

სურათის მთლიანობისათვის მე ქინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ჩვენში მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებმა მასიური ხასიათი მიიღო და ყველგან ეწყობა ის. თქმა არ უნდა რომ ამ კურსებს დიდი დადებითი მხარეები აქვს. ბევრი მასწავლებელი შეიყვანა მან საქმის კურსში და ბევრგან მიმდინარეობს მუშაობა სასურველი და საჭირო წესით.

მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ კურსები დღემდე, უმთავრესად, თეორიულ მეცადინეობას ეწეოდა, მასწავლებლის ყოველდღიურ მუშაობას და პრაქტიკულ საქმიანობას და მცირე ყურადღებას აქცევდა. ეხლა კი ეს ნაკლიც ნაწილობრივ გამოსწორებულია. ელაპარაკობ რა [illegible] ელობაში მაქვს ქ. ს[illegible]რამში ამჟამად დამთავრებული რკ.-გზ. მასწავლებელთა კონფერენცია-კურსები. იგი მოკლევადიანი იყო, მაგრამ მაინც დიდი შედეგი მოგვცა. ამ მხრივ ის სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს მთელ რიგ კურსებთა შორის. კურსები მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთათვის იყო მოწყობილი, რომლის ტრადიცია ძალზე სუსტია, მაგრამ დაბრკოლებანი მაინც იყო ძლეული და კურსების მუშაობა ჩამოყალიბდა სასურველ და საჭირო პრაქტიკულ ფორმებში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდან კურსების მუშაობა ჩამოყალიბდება ადგილებზე უფრო გარკვეულ და მიზანშეწონილ ფორმებში.

მუშაობის ასე დაყენებაში უეჭველად დიდი ღვაწლი მიუძღვის კურსების ხელმძღვანელებს: ძმ. კონიაშვილებს, გ. გოგუაძეს და გ. მოლიძეს. თავისი ცოდნით, ერუდიციით და დაუღალავი შრომით, პატარა დროის განმავლობაში მათ შესძლო დიდი პრაქტიკული და თეორიული მუშაობის ჩატარება, რისთვისაც მათ, კურსების პლენუმისაგან, მიიღო სა

პლენუმმა აღნიშნა, რომ ასეთ კურსებს მომავალშიაც ჰქონდეს დათმობილი ფართო ადგილი. კურსები ჩატარებული ყოფილიყო ზემოდასახელებულ პირთა უშუალო ხელმძღვანელობით.

და გამოსთქვა მრავალი სურვილი, რომელსაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სკოლის წინ წაწევისაკენ: 1) სკოლის მუშაკებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიკავონ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებთან, რომ გაუგებრობა - გაურკვევლობის დროს შესაფერი ხელმძღვანელობა მიიღონ მათგან; 2) მოწვეულ იქნას სწავლულთა და მეცნიერთა კონგრესი, რომელიც ჩამოაყალიბებდა გეგმას სასკოლო თეორია-პრაქტიკაში; 3) გამოცემულ იქნას სკოლაში სახმარებელი კლასიკები.

და ისინი იქნებიან განხორციელებულნი.

ამ რიგად, ჩვენი სკოლის საკითხი თეორიული გზიდან გადავიდა პრაქტიკულ ნიადაგზე. აქ ყოველ წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთად შეჯიბრებული ისინი მოგვცემენ ახალ გზებს, რომლებზედაც სიარული ჩამოაყალიბებს აუცილებელ და საჭირო საბჭოთა სკოლას.

ამ მხრივ ნაბიჯები უკვე გადადგმულია. გავაცხოველოთ მუშაობა და მივიღებთ სასურველ შედეგებს!..

ნო—ვა.

# გვაკმარეთ თუ არა

როგორც სჩანს, ემიგრაციის ხელმძღვანელები კიდევ არ აკლებენ თავის „მზრუნველობას“ ქართველ ხალხს.

ემისრების ხელით დირექტივების გამოგზავნა და „მზათ ყოფნის“ განკარგულების მოხდევა ამ უჯარო გენერლების მიერ, ძალიან ჰგავს იმ მდგომარეობას, რომ შინდის ჯოხზე იჯდე და თავი არაბულ ცხენზე წარმოიდგინო. მათ ასეთ ახმაურებას ყურადღებასაც არ მივაქცევდით, რომ მას არ ჰქონდეს კავშირი საერთაშორისო პროლეტარული მდგომარეობის გართულებასთან, რომ ის არ იწერებოდეს მაშინ, როდესაც ბრიტანეთის შუბლმაგარნი ურთიერთობას სწყვეტენ ჩვენთან, პოლონეთის რეაქციონერები,კაიერდას ხელით, პროვოკაციული მიზნით ჰკლავენ სრულუფლებიან წარმომადგენელს—ვოიკოვს, ლენინგრადში პოლიტ. კლუბებში ისვრიან ბომბებს და სხვა.

აი, რა დროს ახმაურდა ქართველი ემიგრაცია. ეს იმიტომ, რომ მასაც უნდა მომავალ უბედურების ერთერთი მონაწილე გახდეს, საქართველო შეიტანოს საბჭოთა კავშირის მოწინაღმდეგეთა სიაში, აჩვენოს საერთაშორისო რეაქციას, რომ ისიც მასთან არის.

მაგრამ სასტიკად მოსტყუვდებიან, ქართველი ხალხის მიერ ისინი მიიღებენ საკადრისს პასუხს და უფრო მომზადებულს ვიდრე 1924 წელს. ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღსდგება ცეცხლის წამკიდებელთა და ავანტიურისტთა წინააღმდეგ.

ამ დღეებში ქ. თელავში მოწვეული იყო ყოფილ მენშევიკთა კრება, რომელზედაც ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ივ. დავთიანმა. კრებამ მიიღო ძალიან ცხოველი ხასიათი, იყო აუარებელი შეკითხვები და კამათიც დიდხანს გასტანა.

კრების მონაწილენი ერთხმად გაიძახოდენ: „გვაკმარეთ! თქვენი არც ავი გვინდა და არც კარგი, თორემ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს“-ო.

დასასრულ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც კიდევ ერთხელ გმობენ რა ემიგრაციის ავანტიურისტულ „საქმიანობას“ და ქართველი ხალხის სახელით ყოვლად სამარცხვინო და გაუგონარ უზურპაციას, აცნობებენ ხელისუფლებას, რომ ძირშივე იქნება ჩაკლული მათი ყოველგვარი ცდა პროლეტარიატის დიქტატურის და მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული.

ვახტანგი ბაკურაძე.

**სარედაქციო კოლეგია.**

ოლმასკოშის სტამბა, კამოს ქ. № 68.